

საქმეზე „მინისტრის მიერაცხვის მინისტრი“

ადამიანის უფლებათა ეგროპული სასამართლო (პირველი სექცია) შეიკრიბა პალატის სახით შემდეგი შემადგენლობით:

- ბ-წი კ. ლ. როზაპისი, პრეზიდენტი,
ბ-წი კ. ლორენზენი,
ქ-წი ს. ბოტუჩაროვა,
ბ-წი ა. კოვლერი,
ბ-წი კ. კაჯიევი,
ბ-წი დ. სკიელმანი,
ბ-წი ს. ე. ჯებენისი, მოსამართლები,
ბ-წი ს. ნილსენი, სექციის მდივანი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2006 წლის იანვარში,
გამოიტანა წინამდებარე განაჩენი:

პროცედურა

1. სასამართლოს წინაშე საქმე წარდგენილი იყო რუსეთის მოქალაქის, ბ-ნ ალექსეი ევგენის ძე მიხეიევის (განმცხადებელი) მიერ 2001 წლის 16 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. საქმეს საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეგროპული კონკრეტის (კონკრეტი) 34-ე მუხლი.
2. განმცხადებელს, რომელსაც დაუწესდა სამართლებრივი დაცვა, წარმოადგენდნენ მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდში მოღვაწე იურისტები: ქ-წი ო. შეპელევა, ბ-წი ო. სიდოროვი და ქ-წი ვ. ვანდოვა, „საერთაშორისო უფლებების დაცვის“ იურისტი, გაერთიანებული სამეცნიერო აკადემია. რუსეთის მთავრობას (მთავრობა) წარმოადგენდა ბ-წი კ. ლაპტევი, ადამიანის უფლებების ეგროპულ სასამართლოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი.
3. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ წინასწარი დაკავების დაწესებულებაში ყოფნის დროს, იგი პოლიციის ოფიციელი აწამეს, მდედრობითი სქესის არასრულწლოვანის გაუპატიურებისა და მისი მკვლელობის აღიარების მიზნით, რის შედეგადაც, პოლიციის განყოფილების ფანჯრიდან გადმოჩა და ხერხემალი დაიზიანა. ასევე კონკრეტის მე-3 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით იგი ჩიოდა, რომ გამოძიება ამ კუთხით არაეფექტურად ჩატარდა.
4. განცხადება გადაეცა სასამართლოს პირველ სექციას (52-ე მუხლი, პუნქტი I-ლი, სასამართლოს რეგლამენტი). ამ სექციის ფარგლებში საქმის განმხილველი პალატა განისაზღვრა 26-ე მუხლის I-ლი პუნქტის შესაბამისად.
5. 2004 წლის 24 მაისს სასამართლოს მიმართა ადამიანის უფლებების პრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რედრეს ტრასტმა, იმისთვის, რომ მიეღო მესამე მხარედ ჩართვის ნებართვა. პრეზიდენტმა მოთხოვნა უარი უთხრა. იმავდროულად პრეზიდენტმა რედრეს ტრასტის ყურადღება გადაიტანა მოთხოვნის ხელახლა შეტანის შესაძლებლობაზე, რასაც საქმის დაშვება უნდა მოჰყოლოდა.

6. 2004 წლის 7 ოქტომბერს სასამართლომ განცხადება ჩაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა.

7. განმცხადებელმა და მთავრობამ საქმის გარემოებებზე საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს (59-ე მუხლი, პუნქტი I-ლი). რედრეს ტრასტმა განმეორებით წარადგინა მოთხოვნა წერილობითი კომენტარების შეგრანის თაობაზე. მოთხოვნა, იმავდროულად, რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაც იყო შევსებული, მათ შორის, საჯარო ვერდიქტის ფონდის, დემოს ცენტრის, იოშკარ-ოლას არასამთავრობო ორგანიზაციის „მამაკაცი და სამართალი“, და ყაზახის ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ. 2004 წლის დეკემბერში ორგანიზაციებს პრეზიდენტის მიერ მიეცათ წერილობითი ფორმით მესამე მხარედ ჩართვის ნებართვა (კონვენციის 36-ე მუხლი, პუნქტი მე-2 და 44-ე მუხლი, პუნქტი მე-2). მას შემდეგ, რაც მესამე მხარის წერილობითი კომენტარები მიიღეს, განმცხადებელმა და მთავრობამ საკუთარი მოსაზრებებით უპასუხეს (მუხლი 44-ე, §5).

8. პალატამ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტა, რომ საქმის გარემოებების თაობაზე მოსმენა არ იყო საჭირო (59-ე მუხლი, § 3 *infine*).

ვაძლები

I. საქმის გარემოებები

a. განმცხადებლის წინააღმდეგ მიმართული პროცესი

9. განმცხადებელი დაიბადა 1976 წელს და ცხოვრობს ნიჟნი ნოვგოროდში. შესაბამის დროს ის იყო საგზაო დეპარტამენტის პოლიციის ოფიცერი. 1998 წლის 8 სექტემბერს, როდესაც არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ის და მისი მეგობარი „ფ“, ბოგოროდსკში, ნიჟნი ნოვგოროდის რეგიონში შეხვდნენ „მს“-ს, მოზარდ გოგონას. განმცხადებელმა „მს“-ს შესთავაზა თავისი მანქანით ნიჟნი ნოვგოროდამდე მიუვანა.

10. 1998 წლის 10 სექტემბერს „მს“-ს დედამ ბოგოროდსკის პოლიციას აცნობა მისი ქალიშვილის დაკარგვის შესახებ. იმავე დღეს, 16.00 სთ.-ზე, განმცხადებელი დააპატიმრეს. ასევე დააპატიმრეს „ფ“ და წაიყვანეს ბოგოროდსკის პოლიციის განყოფილებაში. განმცხადებელი და „ფ“ პოლიციის ოფიცერებმა „მს“-ს გაუჩინარების თაობაზე დაკითხეს. როგორც ჩანს, მათვის ბრალი არ წაუყენებით. დაკითხვის შემდეგ პოლიციამ განმცხადებელს სხვა დოკუმენტებთან ერთად ჩამოართვა პირადობის მოწმობა და დაკავა ისინი.

11. 1998 წლის 10 სექტემბრის საღამოს, განმცხადებლის საკანთან, მისი ზემდგომი ოფიცერი მივიდა და აიძულა ხელი მოეწერა წინა რიცხვით, 1998 წლის 17 აგვისტოთი, დათარიღებულ განცხადებაზე სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

12. 1998 წლის 11 სექტემბერს პოლიციამ გაჩერიკა განმცხადებლის ბინა, სახლი სოფელში, ავტოფარები და მანქანა, საღამოს იარაღის სამი ვაზნა აღმოაჩინა.

13. 1998 წლის 12 სექტემბერს ბოგოროდსკის მუნიციპალური პოლიციის სამმა ოფიცერმა. „ნ“-მ, „გ“-მ, და „დ“-მ, ბოგოროდსკის ქალაქის სასამართლოში, მოსამართლესთან ერთად, „ადმინისტრაციული გადაცდომის ანგარიში“ შეიტანა. ამ ანგარიშის მიხედვით, 1998 წლის 11 სექტემბრის საღამოს, განმცხადებელმა და „ფ“-მ რკინიგზის სადგურზე „სიმშვიდე დაარღვიეს“. იმავე დღეს, მოსამართლემ განმცხადებელსა და „ფ“-ს 1998 წლის 11 სექტემბრიდან ხუთი დღით ადმინისტრაციული დაკავება მიუსაჯა.

14. განმცხადებლის მიხედვით, ბოგოროდსკის პოლიციის განყოფილებაში დაკავების განმავლობაში, მას გამუდმებით ეკითხებოდნენ „მს“-ს გაუჩინარების შესახებ. მისი თქმით, მან რამდენჯერმე მოითხოვა იურისტი, მაგრამ მისი მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

15. 1998 წლის 16 სექტემბერს პოლიციამ 1998 წლის 11 სექტემბრის ჩერეგის შედეგად ნაპოვნ გაზნებთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის საქმე №68205) კრიმინალური გამოძიება დაიწყო. ამ დროისათვის გავიდა განმცხადებლის ადმინისტრაციული დაკავების ვადა და იგი განმეორებით მოათავსეს საპატიმრო დაწესებულებაში სისხლის სამართლის საქმეზე. შემდგომ ის გადაიყვანეს დაკავების სხვა ცენტრში, ლენინსკის პოლიციის დეპარტამენტის იურისდიქციის ქუშ, რომელიც საქმეზე იყო პასუხისმგებელი.

16. აპლიკანტის განცხადებით, დაკავების ცენტრში მისი გადაყვანის შემდეგ დაკითხვები უფრო ინტენსიური და ძალადობრივი გახდა. მაგალითად, რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როცა პოლიციის ოფიცერები მას სახეში ურტყამდნენ და წამებით ემუქრებოდნენ, რათა მისგან „მს“-ს მკვლელობის აღიარება გამოუქალათ. კერძოდ, ისინი ემუქრებოდნენ, რომ მის მიმართ გამოიყენებდნენ ელექტროშოკს ან მოათავსებდნენ საკანში „განსაკუთრებით მძიმე რეჟიმის კრიმინალებთან“ ერთად, რომლებიც მას მოკლავდნენ, როგორც კი გაიგებდნენ, რომ ის პოლიციის ოფიცერი იყო.

17. 1998 წლის 17 სექტემბერს განმცხადებელს შეხვდა მისი იურისტი, რომელიც რამდენიმე დღით ადრე განმცხადებლის დედამ დაიქირავა №68295 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. განმცხადებლის მიხედვით, იურისტთან დიალოგის განმავლობაში მან აღნიშნა, რომ მისი დაკავების ნამდვილი მიზეზი „მს“-ს გაუჩინარება იყო, რაზეც იურისტმა უპასუხა, რომ მას არ შეეძლო ამ საქმის აღება რადგან მისთვის არ გადაუხდიათ. მიმდევნო დღეს, განმცხადებლის თქმით, იურისტის ვიზიტები მასთან პოლიციის გამომძიებელმა აკრძალა.

18. ამასობაში „ფ“-მ პოლიციას მისცა ჩვენება, რომ ჩახა, თუ როგორ გააუპატიურა და მოკლა განმცხადებელმა „მს“. მან გამომძიებლებს მიუთითა ის აღვილი, სადაც დამალეს „მს“-ს გვამი. პოლიციის ჯგუფმა იქ ვერაფერი იპოვა.

19. 1998 წლის 19 სექტემბერს განმცხადებელი დაიკითხა ლენინსკის პოლიციის განყოფილებაში რამდენიმე პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელი პირების თანდასწერებით, მათ შორის იყვნენ „ი“ (პოლიციის უფროსი გამომძიებელი), „ს“ (შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი სამსახურის უფროსის მოადგილე), „მრ“ (რეგიონალური პროკურორის მოადგილე), ბოგოროდსკის ქალაქის პროკურორი და ლენინსკის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელების გარკვეული რაოდენობა.

20. განმცხადებლის მტკიცებით, ის აწამეს იმისთვის, რომ დაედასტურებინა „ფ“-ს აღიარება. განმცხადებლის თქმით, საჩამ იგი ხელბირკილებით იჯდა სკამზე, პოლიციის ინსპექტორებმა „კ“-მ და „ო“-მ მის მიმართ გამოიყენეს ელექტროშოკი მეტადის კლიპსებით, რომლებიც მავთულით უუთხე ჰქონდა მიერთებული. ამ ფორმით, განმცხადებელი რამდენჯერმე აწამეს. მას ასევე ემუქრებოდნენ სასტიკი ცემით და სასქესო ორგანოებზე ელექტროშოკის გამოეწენებით. ერთ-ერთმა პოლიციელმა მას უთხრა, რომ ეს უკანასკნელი ენის ჩაყლაპას გამოიწვევდა და მისი ამოქაჩა, მხოლოდ ინგლისური ქინძისთავით გახდებოდა შესაძლებელი.

21. განმცხადებლის მიხედვით, ელექტროშოკით წამებას პროკურატურის ხელმძღვანელი პირები არ ესწრებოდნენ. ამდენად, ის ორჯერ გაიყვანეს პოლიციის განყოფილების მეორე ოთახში, სადაც განუწყვეტლივ იკითხებოდა ზემოხამოთვლილი პირების,

განსაკუთრებით, „მრ“-ს მიერ. განმცხადებელმა ცუდად მოპყრობის თაობაზე „მრ“-ს შესჩივლა, მაგრამ ამ უკანასკნელს არ პქონია რაიმე რეაქცია და როდესაც განმცხადებელმა კვლავ უარი თქვა „მს“-ს მკვლელობის აღიარებაზე, „მრ“-მ პოლიციის ოფიცირებს უბრძანა, განმცხადებელი გაეცემა თუ „იქ, საიდანაც მოვიდა“.

22. განმცხადებელმა განაცხადა, რომ აღარ შეეძლო მეტი წამების ატანა და ერთი წუთით უცურადდებოდ დატოვებული, თავის მოკვლის მიზნით პოლიციის განყოფილების მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა. ის დაუცა ეზოში გაჩერებულ პოლიციის მოტოციკლზე და ხერხემალი დაიზიანა.

23. განმცხადებელი ინსპექტორ „კ“-ს თანხლებით დაუყოვნებლივ გადაიყვანეს ნოვგოროდის რაიონის №33 საავადმყოფოში, სადაც იგი გასინჯა ექიმმა „მ“-მ. მან დაადგინა ფანჯრიდან გადმოვარდნის შედეგად სხვადასხვა დაზიანებების არსებობა, რაც ძირითადად აისახებოდა ხერხემლის დერძსა და მამოძრავებელ სისტემაზე.

24. განმცხადებელი იმავე დღეს გადაიყვანეს №39 საავადმყოფოში. განმცხადებლის დედა მივიდა საავადმყოფოში და ექიმ „კ“-ს სთხოვა სამედიცინო დასკვნაში აღენიშნა განმცხადებლის ყურებზე დამწერობის არსებობა. მისი თხოვნა უარყოფილ იქნა. დედამ იმავე თხოვნით მიმართა საავადმყოფოს მთავარ ექიმსა და ექიმ „ს“-ს, რომელიც პასუხისმგებელი იყო განმცხადებლის საქმეზე. მას მოთხოვნაზე პასუხი არ მიუღია.

25. 1998 წლის 19 სექტემბერს, განმცხადებლის ფანჯრიდან გადავარდნის დღეს, „მს“ უნებელი დაბრუნდა სახლში. მან განმარტა, რომ 1998 წლის 8 სექტემბრის დამეს განმცხადებელმა თავისი მანქანით მგზავრობა შესთავაზა, რაზეც ის დათანხმდა. ნიუნი ნოვგოროდში რომ მივიდნენ, განმცხადებელმა მას სახლში დამის გატარება სთხოვა, მაგრამ მან უარი უთხრა და განმცხადებელმა ის გაუშვა. „მს“ ნიუნი ნოვგოროდში მცხოვრებ თავის მეგობრებთან წავიდა. აქ ის რამდენიმე დღით დარჩა ისე, რომ დედისათვის ადგილსამყოფელი არ შეუტყობინებია.

26. 1998 წლის 21 სექტემბერს განმცხადებლის დაკავების პერიოდი ფორმალურად დასრულდა. 1998 წლის 22 სექტემბერს მას ხერხემლის ოპერაცია ჩაუტარდა. საავადმყოფო ის 1999 წლის 3 თებერვლიდე იმყოფებოდა. 1998 წლის 25 სექტემბერს დაიხურა №22346 სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხებოდა „მს“-ს მითითებულ გაუპატიურებასა და მკვლელობას, თუმცა განმცხადებელი გახდა №22414 სისხლის სამართლის საქმის ეჭვმიტანილი. მას პრალი ედებოდა „მს“-ს მოტაცებაში.

27. 1999 წლის 1 მარტს შეწყდა სისხლის სამართლის გამოძიება იარაღის ვაზნების უკანონო მფლობელობაზე, რადგან მათი აღმოჩენის დროს, განმცხადებელი პოლიციის ოფიცირის თანამდებობაზე მუშაობდა და ამდენად, პქონდა იარაღის ფლობის უფლება. 2000 წლის 1 მარტს (მთავრობა ადგენს განსხვავებულ თარიღს – 2000 წლის 10 მაისი), დაიხურა „მს“-ს მოტაცების საქმეც; რადგან განმცხადებელმა ის მოთხოვნისთანავე გაუშვა.

ბ. ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებული ოფიციალური გამოძიება

28. 1998 წლის 21 სექტემბერს ლენინსკის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, 1998 წლის 19 სექტემბერს (საქმე №68241) განმცხადებლის ფანჯრიდან გადახტომის თაობაზე, სისხლის-სამართლებრივი გამოძიება დაიწყო.

29. გამომძიებელმა დაკითხა ლენინსკის რაიონის პოლიციის ხუთი ოფიცირი, რომლებიც 1998 წლის 19 სექტემბრის დაკითხვაში მონაწილეობდნენ. მათ განაცხადეს, რომ ისინი

განმცხადებელს არც თვითონ მოპყრობიან ცუდად და არც ის უნახავთ, რომ მას ვინმე ცუდად მოქცეოდა. პოლიციის ოფიცირების განმცხადებით, დაკითხვის დროს, ინსპექტორმა „ქ“-მ განმცხადებელს უთხრა, რომ მისმა მეჯობარმა „ფ“-მ მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ დაინახა როგორ გაუჟაგიურა და მოკლა განმცხადებელმა „მს“. ინსპექტორის რჩევით, მისითვის ჭავიანური იქნებოდა ელიარებინა უს. დაკითხვა ჩაის გამო შეჩერდა. სახამ ოფიცირები ჩაის მომზადებით იყვნენ დაკავებულნი, განმცხადებელი მოულოდნელად სკამიდან წამოხტა, ფანჯრისკენ გაიქცა, შუშა ჩაიმტვრია და გადახტა.

30. გამომძიებელმა ასევე დაკითხა „ფ“, რომელმაც აღნიშნა, რომ მისითვის განმცხადებლის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემა არავის დაუძალებია. „ფ“-მ განაცხადა, რომ მან განმცხადებელი ეჭვგარეშე მიიჩნია დამნაშავედ „მს“-ს გაუჩინარებაში.

31. გამომძიებელმა შემდეგ დაკითხა №39 სააგადმყოფოს ექიმი „ქ“, რომელმაც განმცხადებელი 1998 წლის 19 სექტემბერის შემთხვევის შემდეგ გასინჯა. ექიმმა დაადასტურა, რომ შემთხვევის დღეს განმცხადებლის დედამ ელექტროდამწვრობა ახსენა შვილის უურებზე, თუმცა განმცხადებელს ყველა დაზიანება ფანჯრიდან გადახტომის შედეგად აღენიშნებოდა. სამედიცინო ჩანაწერების საფუძველზე, განმცხადებელს უურებზე ელექტროდამწვრობა არ აღენიშნებოდა.

32. №39 სააგადმყოფოში განმცხადებლის პალატაში მყოფი „ბ“, ასევე დაიკითხა. „ბ“ საუბრობდა განმცხადებლის უურებზე არსებულ დამწვრობასა და ამოგლვეჯილ აღგილებზე, რაც ელექტროდარტყმას შეიძლებოდა გამოეწვია. „ბ“-მ განაცხადა, რომ ის ელექტრიკოსად მუშაობდა და ამდენად, იცოდა, თუ რა შედეგი აქვს ელექტროდარტყმას.

33. გამომძიებელმა განმცხადებლის სასამართლო სამედიცინო შემოწმება მოითხოვა. 1998 წლის 26 ოქტომბრის სასამართლო ანგარიში ადგენდა, რომ განმცხადებელს ჰქონდა ჭრილობები თავის ზემო ნაწილში, ნაფხვაჭნები შუბლზე და კბენის ნიშნები ენაზე. დამწვრობები ან ელექტროდარტყმის სხვა სახის კვალი არ იყო აღწერილი.

34. 1998 წლის 21 დეკემბერს, გამომძიებელმა პოლიციის ოფიცირების წინააღმდეგ მტკიცებულების ნაკლებობის გამო საქმისწარმოება შეწყვიტა. მან დაადგინა, რომ განმცხადებელი 1998 წლის 10 სექტემბერს „მს“-ს გაუჩინარებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს. 1998 წლის 11 სექტემბერს პოლიციამ ჩაატარა ჩხრეკა განმცხადებლის მანქანაში და აღმოაჩინა იარაღის სამი ვაზნა. განმცხადებელი და „ფ“ იმავე დღეს გაათავისუფლეს, თუმცა მათი გაათავისუფლებიდან მალევე, ბოგოროვდსკის პოლიციის ოფიცერმა „ნ“-მ წერილობით განცხადებებში რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა აღმოაჩინა. ინსპექტორები „ნ“ და „დ“ გაჟუგნენ განმცხადებელს და ის რკინიგზის სადგურზე აღმოაჩინეს. განმცხადებელი გამვლელებს შეურაცხეყოფდა, რის შედეგადაც იგი კვლავ დააპატიმრეს და მეორე დღეს სიმშვიდის დარღვევის საფუძვლით აღმიჩისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს. 1998 წლის 16 სექტემბერს მანქანაში ჩაპოვნ იარაღის ვაზნებთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. 1998 წლის 19 სექტემბერს, ამ ახალი საფუძვლით, გამოიცა დაპატიმრების ორდერი. ის იმავე დღეს გადაიყვანეს ლენინსკის რაიონული პოლიციის განყოფილებაში, სადაც იგი დაკითხა პოლიციის რამდენიმე ოფიცერმა, მათ შორის, ინსპექტორებმა „ქ“-მ და „ო“-მ. დაკითხვის შემდეგ განმცხადებელი უეცრად წამოხტა სკამიდან, გატეხა ფანჯარა და გადახტა. ის დაუყოვნებლივ გადაიყვანეს №39 სააგადმყოფოში. „მს“ იმავე დღეს სახლში დაბრუნდა.

35. გამომძიებელმა განიხილა პოლიციის ოფიცირებისა და ექიმ „ქ“-ს ჩვენებები, №39 სააგადმყოფოს სამედიცინო ჩანაწერები და 1998 წლის 26 ოქტომბრის სასამართლო

სამედიცინო ანგარიში. მან ასევე მოიხმინა სამედიცინო ექსპერტ „ს“-ს აზრი, რომლის მიხედვითაც ელექტროდარტებას კანზე დამწვრობა უნდა დაეტოვებინა. გამომძიებელმა უბულებელყო „პ“-ს ჩვენება, რაღაც ამ უკანასკნელს „არ პქონდა სპეციალური სამედიცინო ცოდნა“. გამომძიებელი მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის მითითება წამებაზე არაარსებითი იყო და იგი თვითმკვლელობის მცდელობის პასუხად „დაცვის მექანიზმს“ წარმოადგენდა.

36. 1999 წლის 25 იანვარს პროკურატურის რეგიონულმა ოფისმა განაახლა საქმე და შემდგომი გამოძიებისათვის იმავე გამომძიებელს გადასცა. 1999 წლის 25 თებერვალს გამომძიებელმა, იმავე მტკიცებულებებზე დაერდნობით და იდენტური სიტყვების გამოყენებით, საქმისწარმოება ისევ შეწყვიტა. მან დაამატა, რომ 1999 წლის 25 იანვარს, მოთავარი პროკურორის მიერ ნახენები საგამოძიებო საშუალებები 1998 წელს უკავ გამოყენებული იყო. განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო ახალი საგამოძიებო მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა დაპირისპირებები და სასამართლო შემოწმებები.

37. 1999 წლის 1 დეკემბერს იმავე ზედამხედველმა პროკურორმა საქმე განაახლა და ბრძანა გარკვეული საგამოძიებო მექანიზმების დამატება, მათ შორის, განმცხადებლის სამედიცინო შემოწმება და მისი იმ პოლიციის ოფიცრებთან დაპირისპირება, რომლებმაც, მითითების მიხედვით, განმცხადებელი აწამეს. საქმე სხვა გამომძიებელს გადაეცა. 2000 წლის 24 თებერვალს გამომძიებელმა შეწყვიტა საქმისწარმოება, 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძვლების შეფასების მსგავს შეფასებაზე დაყრდნობით.

38. 2000 წლის 10 მარტს იმავე ზედამხედველმა პროკურორმა მესამედ განაახლა საქმე და განსახილველად სხვა გამომძიებელს გადასცა.

39. ამ შემთხვევაში დაიკითხა განმცხადებლის დედა. მან განაცხადა, რომ 1998 წლის 19 სექტემბერს ის მივიდა საავადმყოფოში და ნახა, რომ მის შვილს უურები ჰქონდა დაზიანებული. მან მოითხოვა დაზიანებების დაფიქსირება, მაგრამ მისი მოთხოვნა საავადმყოფოს ექიმმა უარყო, რადგან „ამ შემთხვევაზე ინსტრუქცია ჰქონდათ მიღებული“. ამ შემთხვევაში დაკითხებულმა განმცხადებლის დამსწრე პირი და ოთხი ექიმი, რომლებმაც ასევე უარყვეს ფანჯრიდან გადმოვარდნით მიღებული დაზიანებების გარდა, სხვა დაზიანებების არსებობის ფაქტი. №39 საავადმყოფოს ერთ-ერთმა პაციენტმა დაადასტურა, რომ განმცხადებელი მას ესაუბრა ელექტროშოკით წამების შესახებ; თუმცა პაციენტმა განაცხადა, რომ მას განმცხადებლის უურებზე წამების კვალი არ შეუმჩნევია. „ვ“-მ, რომელმაც განმცხადებელი საავადმყოფოში მოიხატულა, განაცხადა, რომ განმცხადებელი მას ესაუბრა წამების თაობაზე, მაგრამ მასზე წამების არანაირი კვალი არ შეუხიშნავს.

41. შემდგომმა მოწმემ, პოლიციის იმ საგზაო დეპარტამენტის მთავარმა ოფიცერმა, სადაც განმცხადებელი დაპატიმრებამდე მუშაობდა, გამომძიებელს წარუდგინა განმცხადებლის „ფსიქოლოგიური პროფილი“ და დაახასიათა როგორც სუსტი პიროვნება. გამომძიებელმა ასევე მიიღო იმ ფსიქოლოგიური ტესტის შედეგები, რომელიც განმცხადებელმა საგზაო პოლიციაში დაზიანების გაიარა. ტესტის ცხადეო, რომ განმცხადებელი „კონფლიქტების თავიდან აცილებისაკენ მიდრექილი და გარემო ფაქტორების მიმართ მგრძნობიარე და დაუცველი იყო“.

42. საქმის წარმოება 2000 წლის 21 ივნისს შეწყდა. გამომძიებელმა გააკეთა დასკვნა, რომ განმცხადებელი ფანჯრიდან საკუთარი სურვილით გადახტა, „მისი პიროვნების

ფსიქოლოგიური მახასიათებლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სიტუაციის პიროვნული შეჯასების საფუძველზე“.

43. 2000 წლის 10 ნოემბერს საქმე განახლდა სხვა ზედამხედველი პროცესორის მიერ. „ფ“ ხელახლა დაიკითხა. ამჯერად „ფ“-მ ჩვენება მისცა, რომ ბოგოროღსკის პოლიციის განყოფილებაში ის სცენა ინსპექტორმა „ა“-მ, იმისათვის, რომ მიეღო „მს“-ს მქონელობის აღიარება. 16-დან 19 სექტემბრამდე ის გამუდმებით იკითხებოდა ნიუნი ნოვგოროდში ლენინსკის რაიონულ პოლიციის განყოფილებაში. დაკითხევისას მას „ი“-მ, პოლიციის მთავარმა გამომძიებელმა, გაარტყა. „ფ“-მ ასევე აღნიშნა, რომ სადაო დანაშაულის აღიარების მიზნით მას ელექტროლარტყმის მეშვეობით აწამებდნენ. „ფ“ ასევე დაკითხა რეგიონალური პროცესორის მოადგილემ „მრ“-მ. 1998 წლის 18 სექტემბერს „ფ“-მ ხელი მოაწერა აღიარებას და რუკაზე ის აღგილიც კი მოხაზა, სადაც თითქოს მან და განმცხადებელმა გვამი დამალეს.

44. უბედური შემთხვევის შემდეგ „ფ“-მ განმცხადებელი საავადმყოფოში მოინახულა. განმცხადებელმა მას ელექტროშოკით წამების შესახებ უთხრა, პასუხად კი „ფ“-მ აღუწერა ის ოფიცერი, რომელიც მას ამით აშინებდა. განმცხადებელმა დაადასტურა, რომ ის იყო იგივე ოფიცერი, რომელიც მონაწილეობდა 1998 წლის 19 სექტემბრის დაკითხვაში. იმავე წელს, მოგვიანებით, მან ამის შესახებ უთხრა გამომძიებელს №68241 საქმის ფარგლებში, თუმცა გადაწყდა, რომ ეს განცხადებები არ ჩაეწერათ ოფიციალურ ჩანაწერებში.

45. 2000 წლის 29 დეკემბერს პროცესორის გამომძიებელმა გამოძიება კვლავ შეწყვიტა. განმცხადებლის გასაჩივრების შემდეგ, 2001 წლის 27 მარტს, ნიუნი ნოვგოროდის, ნიუნიგოროდსკის რაიონულმა სასამართლომ პროცესორას საჭმის შემდგომი გამომძიება დაავალა. სასამართლომ, *inter alia*, აღნიშნა, რომ განმცხადებლის ჩვენებები იყო დაუინებული და დეტალური და საჭირო იყო საქმის უფრო მკაცრი გამომძიება. სასამართლომ ბრძანა იმ საავადმყოფოს სხვა პაციენტების დაკითხვა, სადაც მიიყვანეს განმცხადებელი. სასამართლომ ასევე საჭიროდ მიიჩნია ექსპერტის მიერ განმცხადებლის ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური შემოწმება.

46. პროცესი გაგრძელდა. ამჯერად, პროცესორის გამომძიებელმა დაკითხა ექიმი „მ“, რომელიც №33 საავადმყოფოში მუშაობდა და სადაც განმცხადებელი უბედური შემთხვევისთვის განაცხადა. ექიმმა განაცხადა, რომ მას განმცხადებლის უურებზე დაზიანება არ შეუნიშნავს. იგივე გაიმუორეს ექიმებმა „კ“-მ და „ს“-მ. ორივემ დაადასტურა, რომ განმცხადებლის დედა მათ სთხოვდა, განმეორებით შეემოწმებინათ შვილისთვის უურები, მაგრამ მათ დაზიანებები არ შეუნიშნავთ. №39 საავადმყოფოს ხუთი პაციენტი აძლევება ჩეენებას, რომ განმცხადებელი მათ ესაუბრა მის მიმართ ელექტროშოკით წამების შესახებ, მაგრამ მათ მის უურებზე რაიმე დაზიანების კვალი არ შეუმჩნევიათ. იგივე ჩეენება მისცა „ფ“-მ.

47. გამომძიებელმა ასევე განმცხადებლის ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული შემოწმების განკარგულება გასცა. შემოწმებამ აჩვენა, რომ განმცხადებელი ფსიქიკურად იყო დაავადებული, მაგრამ ტრავმა მიღებული ჰქონდა უბედური შემთხვევის შემდეგ, რის შედეგადაც ჰქონდა განგრძობითი ფსიქიკური ქმედულებარობა. შემოწმების დროს განმცხადებლის მენტალური მდგომარეობა დახასიათდა ეიფორიული რეაქციებით, მეგობრული დამოკიდებულებით, ემოციურობით და ძლიერ პიროვნებაზე დამოკიდებულებით, ასეთად დახახელდა დედამისი. თვითმკვლელობისაგან მიღრეკილება მას არ გამოუმულავნებია. ანგარიშში დაფიქსირდა, რომ შეუძლებელი იყო განმცხადებლის მენტალური მდგომარეობის შეფასება უბედური შემთხვევის მრმენტისათვის.

48. 2001 წლის 19 მაისს საქმისწარმოება შეწყდა იმავე საფუძვლით, რითაც ადრე.

49. 2002 წლის 5 აგვისტოს ნიუნი ნოვგოროდის პროკურატურის რეგიონულმა სამსახურმა განმცხადებელს წერილით აცნობა, რომ მისი საქმის გამოძიება კვლავ განახლდა და დამატებითი გამოძიებისათვის, შესაბამისი ინსტრუქციებით, ლენინსკის პროკურატურის სამსახურს გადაეცავნა. განმცხადებელმა №39 საავადმყოფოს ერთ-ერთი პაციენტის, „ვ“-ს, დაკიოთხვა მოითხოვა.

50. 2002 წლის 5 სექტემბერს პროკურატურის სამსახურმა შეწყვიტა გამოძიება და დაადგინა, რომ არანაირი კრიმინალური ქმედობა არ იყო ჩადენილი და მიუთითა, *inter alia*, რომ შეუძლებელი იყო „ვ“-ს პოვნა მის საცხოვრებელ აღგილას. გამომძიებელმა ასევე დაასკვნა, რომ განმცხადებლის მითითება წამებაზე, მხოლოდ მისი მოხსენებებით იყო გამყარებული, რაც გამოძიების განმავლობაში მოპოვებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე არ აღმოჩნდა მართალი.

51. იცოდნენ რა, რომ „ვ“ იყო ქმედუუნარო და ბორბლებიანი საგარმლის მომსმარებელი, განმცხადებლის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ მას და გაიგეს, რომ მისი დაკიოთხვა დაავალეს ინსპექტორ „ო“-ს, წამებაში ჩართულ ერთ-ერთ ოფიცერს. ინსპექტორმა „ო“-მ განაცხადა, რომ ის რამდენჯერმე შეეცადა „ვ“-სთან დაკავშირებას, მაგრამ ვერ შეძლო მისი მისამართზე პოვნა. 2002 წლის 26 სექტემბერს „ვ“-მ აუხსნა განმცხადებლის წარმომადგენლებს, რომ ერთხელ, ერთმა ადამიანმა, რომელმაც მას თავი წარუდგინა როგორც გამომძიებელმა, დაურეკა და უთხრა, რომ უნდოდა მისი დაკიოთხვა. „ვ“ დათანხმდა განცხადების გაკეთებაზე, მაგრამ შემდგომ ეს ადამიანი მას აღარ შეხმიანებია.

52. 2002 წლის 28 ოქტომბერს ნიუნი ნოვგოროდის პროკურატურის ოფისში 2002 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება გააუქმა. 2002 წლის 28 ნოემბერს ლენინსკის რაიონის პროკურატურის სამსახურმა საქმისწარმოება ისევ იმავე საფუძვლით შეწყვიტა. განმცხადებელმა საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება გაასაჩივრა. 2003 წლის 24 ივლისის წერილით განმცხადებელს ეცნობა, რომ ნიუნი ნოვგოროდის რეგიონული პროკურატურის სამსახურმა ვერ ნახა საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილების შეცვლის მიზეზი.

53. მოპასუხე მთავრობის მიხედვით, რეგიონულმა პროკურორმა აღადგინა გამოძიება 2003 წლის 6 ნოემბერს და საქმე ლენინსკის რაიონის პროკურატურის სამსახურს გადასცა. როგორც ჩანს, 2003 წლის დეკემბრის ბოლოს საქმე ისევ დაიხურა. განმცხადებლის მიხედვით, 2004 წლის 19 იანვარს გამოძიება განახლდა. 2004 წლის 26 იანვარს, საქმე ლენინსკის რაიონის პროკურატურის სამსახურიდან გადაეგზავნა რეგიონული პროკურატურის დეპარტამენტის სამსახურს, რომელიც მსგავსი მნიშვნელობის მქონე საქმეებს იძიებდა.

54. „ვ“ კიდევ ერთხელ დაიკიოთხა. მისი ჩვენებით, ლენინსკის ოლქში „მს“-ს გაუჩინარების თაობაზე დაკიოთხვისას იგი სცემეს პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც ასევე ემუქრებოდნენ ელქტროშოკის გამოყენებით.

55. 2004 წლის 19 თებერვალს დეპარტამენტის გამომძიებელმა ისევ დახურა საქმე დასკვნით, რომ არ არსებობდა განმცხადებლის მიმართ ცუდად მოპერობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და რომ პოლიციის ოფიცრების ქმედობა კანონიერი იყო. 2004 წლის 4 მარტს საქმე კვლავ განახლდა მანამ, სანამ ის კვლავ დაიხურებოდა 2004 წლის 4 ივლისს. 2004 წლის 3 აგვისტოს საქმე განახლდა რეგიონალური პროკურატურის სამსახურის მიერ. 2004 წლის 6 სექტემბერს საქმე დაიხურა. ის შემდეგ ისევ განახლდა

და მთავრობის წარდგინებების შემდეგ, 2004 წლის 20 ოქტომბერს, ისევ დაიხურა. 2004 წლის 22 ნოემბერს რეგიონულმა პროკურორმა ისევ განაახლა გამოძიება. მთავრობის მიხედვით, გამოძიების ბოლო ვადად 2005 წლის 2 აპრილი განისაზღვრა.

56. 2005 წლის განუსაზღვრელ დღეს პროკურატურის სამსახურმა ბრალი წაუკისა თო პოლიციელს „„კ“-ს და „სმ“-ს, რომლებიც 1998 წლის 19 სექტემბერს განმცხადებლის დაკითხვაში მონაწილეობდნენ. საქმის მასალები, ბრალის წაუკის დოკუმენტთან ერთად, საბოლოოდ განსახილველად გადაეგზავნა ლენინსკის ოლქის ნიუნი ნოვგოროდის სასამართლოს.

57. სასამართლო მოსმენის დროს სასამართლომ მრავალი მოწმე დაკითხა. ასევე დაკითხა „კ“ და „სმ“ და პოლიციის სხვა თხუთმეტი ოფიცერი, რომლებიც 1998 წლის 19 სექტემბრის დაკითხვაში მონაწილეობდნენ, ან იმ დღეს იმყოფებოდნენ ლენინსკის პოლიციის განყოფილებაში. განმცხადებლის წამების ფაქტი · ან ამის თაობაზე ინფორმაცია ყველამ უარყო. სასამართლომ შემდეგ დაკითხა „ვკ“, პოლიციის ყოფილი გამომძიებელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო განმცხადებლის საქმეზე, მაგრამ მის დაკითხვაში მონაწილეობა არ მიუღია. მისი ჩვენებით, მას კოლეგებისაგან გაგებული ჰქონდა, რომ განმცხადებელი ფანჯრიდან, ელექტროშოკით წამების გამო გადახტა.

58. სასამართლომ ასევე მოისმინა განმცხადებლის, მისი დედის, „ფ“-ს, „მს“-ს და იმ საავადმყოფოს ექიმების ჩვენებები, სადაც ის უბედური შემთხვევის შემდეგ მოათვასეს. მათ თავიანთი პირველადი ჩვენებები დაადასტურეს. სასამართლოს წინაშე წარსდგა ექსპერტი მოწმე. მან განაცხადა, რომ ელექტროშოკმა გარკვეულ პირობებში ადამიანის სხეულზე შეიძლება კვალი არ დატოვოს. სასამართლომ ასევე დაკითხა „ვზ“, რომელიც 1998 წლის აგვისტოში ლენინსკის პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი. „ვზ“-ს მიხედვით, იგი დაკითხა ორმა პოლიციელმა და შემდეგ ისევე აწამა ელექტროშოკით, როგორც ამას განმცხადებელი აღწერდა.

59. სასამართლომ მოუსმინა სხვა მოწმეებსაც და შეამოწმა წინასწარი გამოძიების დროს შეგროვებული საგნები და მასალები. სასამართლომ ასევე წაიკითხა №39 საავადმყოფოში განმცხადებელთან ერთად პალატაში შეოფი „ბ“-ს, „ვ“-სა და „ს“-ს ჩვენებები და შეამოწმა ექსპერტების მიერ განმცხადებლის სამედიცინო და ფსიქიატრიული შემოწმების შედეგები. სასამართლომ ასევე შეამოწმა ქაღალდის ფურცელი, რომელიც იპოვეს იმ ოფისის ჩერქევის დროს, სადაც 1998 წლის 19 სექტემბერს დაიკითხა განმცხადებელი. ის მოიცავდა 1998 წლის 10 სექტემბრის მოვლენების, როდესაც გაუჩინარდა „მს“, დაუმთავრებელ აღწერას სათაურით „ნებაყოფლობითი აღიარება“. მოელი ტექსტი განმცხადებლის მიერ იყო დაწერილი.

60. ზემოთ აღწერილი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ 1998 წლის 19 სექტემბერს განმცხადებელი წაიყვანეს ლენინსკის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ის დაიკითხა პოლიციისა და პროკურატურის რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მიერ. ისინი მას სოხოვენენ ელიარებინა „მს“-ს გაუპატიურებისა და მკულეობის ფაქტი და ეჩვენებინა მათვეის ის ადგილი, სადაც გვამი დამარხა. განმცხადებლისაგან აღიარების მისაღებად, პოლიციის ოფიცრებმა „კ“-მ და „სმ“-მ გამოიყენეს ელექტროშოკი, რაც გამოიხატა უურებზე ხელსაწყოს მიერთებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველად ჩვენებაში განმცხადებელი აცხადებს, რომ ის აწამეს ინსპექტორებმა „კ“-მ და „ს“-მ. თუმცა იდენტიფიკაციის ჩატარების დროს, განმცხადებელმა ამოიცნო „სმ“, როგორც ერთ-ერთი იმ ორი ოფიცრიდან, რომლებიც მას აწამებდნენ. ვინაიდან ის ველარ უძლებდა ტკივილს, განმცხადებელმა აღიარებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ ერთ მომენტში უურადღებოდ დარჩენილმა, ფანჯრიდან გადახტომით თავის მოკვლა გადაწყვიტა. ის ეზოში მდგარ მოტოციკლს დაუცა და ხერხემალი დაისიანა.

61. 2005 წლის 30 ნოემბერს ნიუნი ნოგოროდის ლენინსკის რაიონულმა სასამართლომ „კ“ და „სმ“ დამნაშავეებად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტების საფუძველზე (თანამდებობის ბოროტად გამოყენება, გამოხატული ძალადობის გამოყენებით ან სერიოზული შედეგის გამოწვევით). მათ შემდეგ მიესაჯათ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა და შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის სამწლიანი აკრძალვა. სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, 2005 წლის 30 ნოემბრის განაჩენი ჯერ არ არის საბოლოო.

გ. 1998 წლის 10-19 სექტემბრის მოვლენების არაოფიციალური გამოძიება

62. 1999 წლის ზაფხულში ადამიანის უფლებების რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციის (ნიუნი ნოგოროდის წამების საწინააღმდეგო კომიტეტი) ორმა აქტივისტმა, განმცხადებლის მიერ გასაჩივრებულ 1998 წლის სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, ჩვენება ჩამოართვა რამდენიმე ადამიანს. მათი საუბარი ჩაწერილი იყო კიდეოჩამწერზე.

63. ამ ინტერვიუებში „ფ“ აცხადებდა, რომ იგი დააკავეს 1998 წლის 10 სექტემბერს. საპატიმროში ყოფნისას მას სცემდნენ და ემუქრებოდნენ „მს“-ს მკვლელობის აღიარების მიზნით. 1998 წლის 17 სექტემბერს ის დაიკითხა პოლიციის მთავარი გამომძიებლის „ი“-ს მიერ, რომელიც მას ფეხს ურტყამდა და ემუქრებოდა მიწისქვეშა საკანში ჩაგდებით, სადაც მას სცემდნენ და თვალების დასისხლიანებამდე აწამებდნენ ელექტროშოკით.

64. 1998 წლის 18 სექტემბერს „ფ“-სა და განმცხადებელს შორის მოკლე დაპირისპირება ჩატარდა. „ფ“-მ განაცხადა, რომ განმცხადებლის კისერზე შენიშნა სისხლჩაქცევები. სადამოს „ფ“ ისევ დაკითხეს, ამჟამად რეგიონული პროკურორის მოადგილე „მრ“-მ, ბოგოროდსკის ქალაქის პროკურორმა და პოლიციის რამდენიმე ოფიცერმა. „მრ“ მას აშინებდა „ბიჭებზე გაგიუებულ კრიმინალებთან“ ერთად საკანში ჩაგდებით, რომლებიც მას გააუპატიურებდნენ, აგრეთვე, ტუბერკულოზით დაგვადებულთა საკანში ჩასმით. ისინი, ასევე, ემუქრებოდნენ, რომ თუ „ფ“ გადარჩებოდა საკანში, მას მიუსჯიდნენ თცდახუთმლიან პატიმრობას, ან სიკვდილით დასჯას.

65. „ფ“-მ განმცხადებელთან ერთად გოგონას გაუპატიურება და მკვლელობა აღიარა. „მრ“-ს მოთხოვნით მან დაასახელა ის ადგილი, სადაც გვამი დამალეს. საგამოძიებო ჯგუფი გაიგზავნა მითითებულ ადგილას, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. 1998 წლის 20 სექტემბერს, გოგონას სახლში დაბრუნების შემდეგ, „ფ“ გაათავისუფლეს.

66. „ბ“-ს განცხადებით, რომელიც №39 საავადმყოფოში განმცხადებელთან ერთად იმყოფებოდა პალატაში, საავადმყოფოში მიყვანისას განმცხადებელმა მას მოუყვა მისი დაპატიმრების გარემოებების, კერძოდ, ელექტროშოკით წამების შესახებ. განმცხადებელმა „ბ“-ს აჩვენა დამწვრობები უურზე, რაც „დაზოლილი ბურთებივით“ გამოიყერებოდა. საავადმყოფოს სხვა პაციენტების, „მ“-ს მიხედვით, სანამ განმცხადებელს მოიყვანდნენ, პოლიციამ პერსონალი გააფრთხილა, რომ მოჰყავდათ საშიში დამნაშავე. პერსონალს მოსთხოვეს დაემალათ ყველანაირი მჭრელი მეტალის საგანი. „მ“-ს თქმით, განმცხადებელს ყურებზე სიწითლე ადენიშენებოდა, „თითქოს ვინმექ ყურები მოქაჩა“. მან ასევე გაიხსენა, რომ განმცხადებლის დედამ ექიმებს შვილის ყურების შემოწმება სთხოვა, მაგრამ მათი თქმით, ყევლაფერი წესრიგში იყო. „ვ“-მ დაადასტურა, რომ საავადმყოფოში ყოფნისას განმცხადებელმა მას უთხრა წამების შესახებ და დაინახა როგორ სთხოვდა დედამისი ექიმებს შვილისთვის ყურების შემოწმებას. „ვ“-მ ასევე დაადასტურა, რომ განმცხადებელს ყურები დასიანებული ჰქონდა, მაგრამ როგორც მას ახსოვს, ის არ პგავდა შესიებულს.

67. არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივისტებმა ჩვენება ასევე ჩამოართვეს „ლ“-სა და „კ“-ს, განმცხადებლის მანქანის ჩხრეკის მოწმეებს.

68. 2000 წლის დეკემბერში არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივისტებმა კიდევ ერთხელ დაკითხეს „ფ“, იმ მიზნით, რომ აღმოუფხვრათ ის წინააღმდეგობები, რაც არსებობდა ოფიციალური გამოძიების მასალებსა და მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციისათვის მიცემულ მის განცხადებებს შორის. „ფ“-მ განაცხადა, რომ მისი დაკითხვის დროს, გამომძიებლებმა უგულებელყვეს მისი განცხადებები „მრ“-ს 1998 წლის სექტემბრის მოვლენებში ჩართულობის თაობაზე.

დ. 1998 წლის 10-19 სექტემბრის მოვლენების თაობაზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სხვა პროცედურები

69. 1998 წლის დაუდგენელ დღეს, პროკურორმა გადაგზავნა მოთხოვნა 1998 წლის 12 სექტემბრის იმ გადაწყვეტილების საზედამხედველო გადახედვაზე, რომლითაც განმცხადებელს მიესაჯა ხუთდღიანი აღმინისტრაციული პატიმრობა. 1998 წლის 2 დეკემბერს, ნიუნი ნოვემბროდის რეგიონული სასამართლოს პრეზიდენტმა მოახდინა ამ განაჩენის ანულირება. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ განაჩენი უფუძნებოდა ბოგოროდსკის პოლიციის ოფიცირების ინფორმაციას, რომელთა მითითების თანახმად, განმცხადებელი რეინიგზის სადგურზე 1998 წლის 11 სექტემბერს დააკავეს. თუმცა ამ დროისათვის განმცხადებელი ფაქტობრივად საპატიმროში იმყოფებოდა „მს“-ს გაუჩინარებასთან დაკავშირებით.

70. 2000 წლის 23 მარტს პროკურორმა ბოგოროდსკის პოლიციის სამი ოფიცირის წინააღმდეგ, განმცხადებლის რეინიგზის სადგურში დაკავებასთან დაკავშირებით ცრუნვენების მიცემის გამო, აღძრა სისხლის სამართლის საქმე (საქმე №310503). პროკურატურის გამომძიებელმა დაადასტურა, რომ განმცხადებელი 1998 წლის 11 სექტემბერს არ იმყოფებოდა რეინიგზის სადგურზე, რადგან ამ დროს დაკავებული იყო. თუმცა 2000 წლის 3 ნოემბერს, „სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით“, მოხდა ბრალის წაუენებაზე უარის თქმა, რადგან ერთ-ერთი პოლიციელი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ორი შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს.

71. მთავრობა აცხადებდა, რომ 2001 წლის 25 მაისს კრიმინალური საქმე №310503 განახლდა პროკურატურის სამსახურის მიერ და შემდგომი გამოძიებისათვის გადაეგზავნა პავლოვსკის ქალაქის პროკურორის სამსახურს. 2002 წლის 20 ოქტომბერს სისხლის სამართლის საქმე დაიხურა პოლიციის ოფიცირების სისხლის-სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით საქმის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ეს გადაწყვეტილება გაუქმდა ქალაქის პროკურორის მიერ და საქმე ისევ განახლდა. 2004 წლის 1 აპრილს სამი პოლიციელის სისხლის სამართლის საქმე, ბრალის წაუენების დადგენილებასთან ერთად, გადაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს. 2004 წლის 27 აპრილს საქმე შეწყდა ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმისწარმოების კანონით დადგენილი ვადების გასვლასთან დაკავშირებით. 2004 წლის 19 ნოემბერს რეგიონულმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადასცა. როგორც მოპასუხე მთავრობა აცხადებს, საქმე კვლავ მოლოდინშია.

72. 2001 წლის 19 დეკემბერს განმცხადებელმა შეიტანა სამოქალაქო სარჩევლი ნიუნი ნოვემბროდის ლენინსკის რაიონულ სასამართლოში და მოითხოვა კომპენსაცია ბოროტად წარმართული გამოძიების, სამსახურის დაკარგვის, მისი საკუთრების ჩხრეკის, მისი დაკავებისა და პოლიციის მსრიდან ცუდად მოპერობის გამო. განმცხადებლის იურისტმა სასამართლოს ხოსტა პროკურატურის სამსახურიდან მოეთხოვა საქმის მასალები №68241, №310503 და №68341. განმცხადებელი და მისი იურისტი აცხადებდნენ,

რომ პროექტის მიერ შეგროვებული მასალები საჭირო იყო სამოქალაქო სარჩელის არსებითი ნაწილის დასამტკიცებლად. 2002 წლის 22 აპრილს ნიჟნი ხოვგოროდის ლენინსკის რაიონულმა სასამართლომ გამოითხოვა საქმეები პროექტის შესაბამისი სამსახურიდან. 2002 წლის 27 ივნისს საქმეები სასამართლოს წარედგინა. 2002 წლის 1 აგვისტოს პროკურორის მოთხოვნით საქმის მასალები პროკურატურაში დაბრუნდა. 2002 წლის 23 ოქტომბერს განმცხადებლის იურისტმა სასამართლოს საქმის გადადება მოსთხოვა.

73. 1998 წლის 17 აგვისტოთი დათარილებული აპლიკანტის განცხადება, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, გაუქმდა და განმცხადებელი თანამდებობაზე აღადგინეს. მისი განცხადების წინა რიცხვით დათარილებაზე პასუხისმგებელი ოფიცირები დისციპლინურ პასუხისმგებლობას დაექვემდებარნენ, თუმცა სრული ქმედუუნარობის გამო, განმცხადებელი იმულებული გახდა დაეტოვებინა საგზაო პოლიცია.

ე. განმცხადებლის ამჟამინდელი მდგომარეობა

74. განმცხადებელი არის ქმედუუნარო და ამ საფუძვლით სახელმწიფოსაგან იღებს ქენსიას. მთავრობამ დაადგინა, რომ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით განმცხადებელმა სადაზღვევო კომპენსაციის სახით სახელმწიფოსგან მიიღო ერთიანი თანხა, რამაც შეადგინა 60 302 რუსული რუბლი (დაახლოებით 1 740 ევროს ეკვივალენტი მიმდინარე კურსით).

75. განმცხადებელმა წარმოადგინა 2004 წლის 29 ნოემბრის ანგარიში, დაწერილი სასამართლო მედიცინის სპეციალისტის უქიმ ლ. მაგნუტოვას მიერ. აღნიშნული ანგარიში ადგენდა, რომ განმცხადებელს პქონდა ძვლის ტვინის ანთება, ფეხები პქონდა პარალიზებული, იყო ქმედუუნარო, იტანჯებოდა მენჯის ორგანოების მკაცრი უფრუნქციობით და დაკარგული პქონდა სექსუალური ფუნქცია. ის მიჯაჭვული იყო საწოლს და მუდმივად საჭიროებდა მომვლელს, რათა დახმარებოდა შარდის ბუშტისა და კუჭ-ნაწლავის სისტემის დაცლაში. განმცხადებელი იმყოფებოდა სეფსისის რისკის ქვეშ. ის მოითხოვდა საავადმყოფოს პირობებში მუდმივ გამოკვლევას, ყველაზე ცოტა წელიწადში ორჯერ ან სამჯერ.

II. შესაბამისი შიდა სახელმწიფოსამინისტრის სამართალი

ა. საჯარო მოხელეების მიერ უკანონო ქმედობის საწინააღმდეგო სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები

76. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1996 წლის 1 მარტს, კომპენსაციას ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ქმედობის ან უმოქმედობის გამო გამოწვეული ზიანისათვის (1069-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 1099-1101-ე მუხლები ითვალისწინებუნ კომპენსაციას არამატერიალური ზიანისათვის. 1099-ე მუხლი ადგენს, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიუხედავად.

ბ. საჯარო მოხელეების მიერ უკანონო ქმედობის საწინააღმდეგო სისხლის-სამართლებრივი მექანიზმები

77. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეორე ნაწილის (ვ) ქვეპუნქტის თანახმად, წამება ისჯება შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. კოდექსის 110-ე მუხლი თვითმკვლელობის სტიმულირების აქტის ჩამდენს ხუთ წლამდე

თავისუფლების აღკვეთას უფარდებს. 286-ე მუხლის (ა) და (ბ) ქვეპუნქტები სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ქმედებას ძალადობით ან რამაც გამოიწვია სერიოზული შედეგი, აკისრებს ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

გ. დანაშაულების ოფიციალური გამოძიება

78. 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (ძალაშია 2002 წლამდე) 108-ე და 125-ე მუხლების მიხედვით, სისხლის-სამართლებრივი გამოძიება ინიცირებული უნდა იყოს პროკურატურის გამომძიებლის მიერ კურძო პირის მოთხოვნის საფუძველზე, ან საგამოძიებო ხელისუფლების პირადი ინიციატივით. კოდექსის 53-ე მუხლი ადგენს, რომ პირს, რომელსაც ზიანი დანაშაულის საფუძველზე მიადგა, უნდა მიეცეს მსხვერპლის სტატუსი და შეუძლია შეუერთდეს სისხლის-სამართლებრივ პროცედურას როგორც სამოქალაქო მხარე. გამოძიების განმავლობაში მსხვერპლს შეუძლია წარადგინოს მტკიცებულებები და შეიტანოს სარჩევლი; როგორც კი გამოძიება დასრულდება, მსხვერპლს ექნება სრული დაშვება საქმის მასალებთან.

79. კოდექსის 210-ე და 211-ე მუხლების საფუძველზე პროკურორი პასუხისმგებელი იყო საქმის გამოძიების მრავალმხრივ გამოძიებაზე. კერძოდ, პროკურორს შეეძლო დაევალებინა სპეციალური საგამოძიებო მექანიზმების გამოყენება, საქმის ერთი გამომძიებლიდან მეორისათვის გადაცემა ან საქმის განხილვის განახლება.

80. კოდექსის 209-ე მუხლზე დაყრდნობით, იმ გამომძიებელს, ვინც ატარებდა გამოძიებას, შეეძლო საქმის შეწყვეტა დანაშაულის მტკიცებულებების ნაკლებობის საფუძველზე. მსგავსი გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს სასამართლოში ან მთავარ პროკურორთან. სასამართლოს შეეძლო სისხლის სამართლის გამოძიების განახლების შესახებ ბრძანების გაცემა, თუ გადაწყვეტდა, რომ გამოძიება ჩატარდა არასრულყოფილად.

81. კოდექსის 210-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საქმე შეიძლება განახლდეს პროკურორის მიერ, „თუ არსებობს ამის საფუძველი“. მხოლოდ გამოსაძიებელი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ არ შეიძლება საქმის განახლება.

82. კოდექსის 161-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ როგორც ზოგადი წესი, გამოძიების დროს მოპოვებული ინფორმაცია არ არის საჯარო. ასეთი ინფორმაციის გახსნა, შესაძლებელია მხოლოდ საგამოძიებო ხელისუფლების ნებართვით, თუ იგი ხელს არ შეუშლის გამოძიების სწორად წარმართვას და არ შელახავს პროცესში ჩართული მხარეების უფლებებსა და სამართლებრივ ინტერესს. ინფორმაცია მხარეების პირადი ცხოვრების შესახებ არ შეიძლება გახდეს საჯარო მათი თანხმობის გარეშე.

სამართალი

I. პონდენციის მე-3 მუხლის მითითებული დარღვევა

83. განმცხადებელი ჩიოდა, რომ პოლიციაში დაკავებისას მას ცუდად მოეპყრნენ, განსაკუთრებით ლენინსკის პოლიციის განყოფილებაში 1998 წლის 19 სექტემბრის დაკითხვის დროს. ამავე დროს, ამ კუთხით წარმართული გამოძიება არ იყო ეფუძნული. ის დაეყრდნო მე-3 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს:

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

„არავინ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი“.

ა. მთავრობის წინასწარი პრეტენზია

84. მთავრობამ განაცხადა, რომ მოცემული საქმის ვითარების გამოძიება ისევ მიმდინარეობს და შიდა სახელმწიფო ორგანიზაციების დონეზე ჯერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ამ ფაქტზე მითითებით, ისინი ამტკიცებენ, რომ განმცხადებელმა არ ამოწურა შიდა სახელმწიფო ორგანიზაციი მექანიზმები ცუდად მოპყრობის საჩივართან დაკავშირებით. შესაბამისად, ნაადრევი იყო მისი საჩივარი გამოძიების მითითებულ არაეფექტურობაზე.
85. განმცხადებელი ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა. ის აცხადებდა, რომ სასამართლოში მისი პირველი საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის გამოძიება შეწყდა და განახლდა შვიდჯერ. არანაირი ახალი მტკიცებულებები არ იქნება მოძიებული და საქმის გამოძიების უველა შემდგომი ცდა იქნება უსარგებლო. გამოძიება გაგრძელდა შეიდ წელზე მეტ ხასს და საბოლოოდ, დადასტურდა, რომ დროის ოვალსაზრისით, იგი არაეფექტურია. ასევე, განმცხადებლის მითითებით, ის არ არის ვალდებული დაელოდოს გამოძიების დასრულებას.
86. სასამართლო ამ კუთხით აცხადებს, რომ როდესაც პიროვნება შეიტანს არგუმენტირებულ საჩივარს პოლიციის მიერ მნიშვნელოვნად ცუდად მოპყრობის თაობაზე, სისხლის-სამართლებრივი საჩივარი შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ აღეკვატურ ზომად (იხ. ახენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, №24760/94, 1996 წლის 27 ივნისი, DR 86-ბ, გვ. 71). სახელმწიფოს რასაკვირველია, უნდა მიეცეს საქმის გამოძიებისა და მითითებულ დარღვევებზე რეაგირების მოხდენის შესაძლებლობა. ამავე დროს, „განმცხადებელს არ სჭირდება იმ მექანიზმების გამოყენება, რომლებიც თეორიულად, მათი ხასიათისდა მიუხედავად, რეალობაში არ იძლევა მითითებული დარღვევის კომპენსაციის შესაძლებლობას“ (იოლერი თურქეთის წინააღმდეგ, №26973/95, 1997 წლის 13 იანვარი; იხ. ასევე აკდივარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება, განასწერების და გადაწყვეტილებების ანგარიში 1996-IV, გვ. 1210, პუნქტი 68). თუ არჩეული საშუალება თეორიულად აღეკვატური იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში დადასტურდა მისი არაეფექტურობა, განმცხადებელი აღარ არის ვალდებული, ამოწუროს იგი (იხ. ტემპ თურქეთის წინააღმდეგ, 27244/95, კომისიის 1996 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება).
87. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის ფანჯრიდან გადმოვარდნის გარემოებები ქმნის ცუდად მოპყრობის „დადასტურებად დავას“; მან გამოიყენა ყველა შესაძლებელი მექანიზმი სისხლის-სამართლებრივ საქმისწარმოებაში საჩივრის გადაცემით ხელისუფლების იმ ორგანოების ხელში, რომლებიც კომპეტენტურები არიან მსგავს საქმეში და მიუხედავად ამისა, საქმე კვლავ მოლოდინშია. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებაში დაშვებადობის შესახებ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობის ამ პრეტენზიის განხილვა უნდა მოხდეს საქმის მასალებთან ერთად.
88. სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის წინასწარი პრეტენზია წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განმცხადებლის მიერ მითითებულ კონვენციის არსებით დებულებებთან ერთად უნდა იქნეს განხილული. ეს საკითხი, შესაბამისად, ქვემოთ იქნება განხილული.
89. 2005 წლის 29 დეკემბერს მთავრობამ სასამართლოს აცნობა ნიჟნი ნოვგოროდის ლენინსკის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შესახებ, განმცხადებლის მიმართ პოლიციის მიერ ცუდად მოპყრობის ფაქტოან დაკავშირებით (იხ. გვ. 61). მთავრობა აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება ჯერ არ იყო საბოლოო და ისინი შემდგომი განვითარების შესახებ აცნობებდნენ სასამართლოს.

90. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა არ უკრძნობოდა ამ ფაქტს, სასამართლომ შეამოწმა, რამდენად მოქმედებდა ახლად განვითარებული მდგრმარეობა განმცხადებლის მსხვერპლის სტატუსზე კონვენციის 34-ე მუხლის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისი მისთვის მსხვერპლის სტატუსის ჩამოსართმევად, სანამ შიდა ხელისუფლება არსებითად ან გამოხატულად არ გააცნობიერებს და კონვენციის დარღვევისათვის კომპენსაციას არ გადაუხდის მას (იხ. მაგ.: ამური საფრანგეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშები 1996-III, გვ. 846, პუნქტი 36 და ლალბანი რემინჯოის წინააღმდეგ [GC], №28114/95, პუნქტი 44, აღმიანის უფლებების ეგროპული კონვენცია 1999-VI). მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს: პირველი, 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და შეიძლება შეიცვალოს აპელაციის დროს; მეორე, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგინდა ცუდად მოპყრობის ფაქტი, განმცხადებულს მიუქნებული ზიანისათვის კომპენსაცია არ მისცემია; მესამე, 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება შეეხებოდა მხოლოდ ცუდად მოპყრობის ფაქტს და არაფერს ამბობდა გამოძიების წარმართვის შესახებ, რაც განმცხადებლის ძირითადი მოთხოვნა იყო მოცემულ საქმეში. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს გამოძიების მთავარ ნაწილად, ის საქმის გარემოებების მიხედვით არ მოქმედებს განმცხადებლის მსხვერპლის სტატუსზე, მის მიმართ გამოყენებული ძალადობრივი ქმედობების გამო.

ბ. გამოძიების მითითებული შეუსაბამობები

1. მთავრობა

91. მთავრობას არ წარუდგენია არანაირი მიმოხილვა სარჩელის ფაქტების ირგვლივ. უფრო მეტიც, დამაჩიტებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე სასამართლოს მოთხოვნაზე, მთავრობამ უარი უთხრა სასამართლოს 1998 წლის 19 სექტემბრის შემთხვევასთან და პოლიციის მიერ აპლიკანტის მიმართ ცუდად მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით საქმის მასალების მიწოდებაზე. მათ მიუთითეს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ წინასაგამოძიებო საქმის მასალების საჯაროდ გახსნა შეიძლება მხოლოდ საგამოძიებო ხელისუფლების თანხმობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ შეუშლის ხელს გამოძიებას და არ დაარღვევს სისხლის სამართლის საქმის მხარეების უფლებებს.

2. განმცხადებელი

92. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია მისი პოზიტიური გალდებულება, საქმე გამოეძია მე-3 მუხლის ფარგლებში. მისი ფანჯრიდან გადმოვარდნის გარემოებები, უკიდურეს შემთხვევაში, მითითებულ ცუდად მოპყრობაზე დადასტურებად დავას წარმოშობდა. მოპასუხე სახელმწიფო ვალდებული იყო უფექტურად და მკაცრად გამოეძია მისი მითითებები. თუმცა საქმის გამოსაძიებლად ცოტა რამ გაკეთდა და მიღებული ზომები არაეფექტური და არააღეკვატური აღმოჩნდა.

93. განმცხადებელმა ოფიციალური გამოძიების უამრავ დეფექტზე მიუთითა. მაგალითად, მისი სამჯდიცინო გამოკლევა ჩატარდა 1998 წლის 26 ოქტომბერს, შემთხვევიდან ერთი თვის შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი მეოთოდით წამების პერიოდი საკმარის მაღლე ქრება, გამოკლევა ძალიან დაგვიანებულია. ელექტრომოკით გამოწვეული უსილავი დაზიანებების დადგენა, ბიოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ინციდენტიდან ორი კვირის განმავლობაში შეიძლება მოხდეს. თუმცა განმცხადებლის გამოკლევა შემოიფარგლა მარტივი ვიზუალური შემოწმებით.

94. შემდგომ, გამოძიებამ განმცხადებელი და პოლიციის ის ოფიცირები რომლებიც მას ცუდად მოეპყრნენ ერთმანეთს არ დაუპირისპირა. ამოცნობის პროცედურა ჩატარდა ინციდენტიდან თრი წლის შემდეგ. გამოძიების პირველ ეტაპზე მხოლოდ თრი დამოუკიდებელი მოწმის „ბ“-სა და ექიმ „ქ“-ს დაკითხვა მოხდა. პროცესურატურა დიდი ხნის განმავლობაში (1998 წლის 21 სექტემბრიდან 2000 წლის 24 იანვრამდე) უარს აცხადებდა №39 საავადმყოფოს პაციენტებისა და პერსონალის იდენტიფიცირებასა და დაკითხვაზე. ეს განხორციელდა მხოლოდ განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლების უამრავი საჩივრის შემდეგ, როდესაც 1998 წლის შემთხვევა მოწმების მახსოვრობიდან ჩელ-ნელა გაქრა.

95. განმცხადებელმა უურადღება გაამახვილა გამოძიების დამოუკიდებლობის ნაკლებობაზე, სახელმწიფო პროცესურორების ორმაგ პასუხისმგებლობაზე ბრალდებისა და გამოძიების სწორად წარმართვის კონტროლის თაობაზე. განმცხადებლის საქმეში მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პროცესურის ხელმძღვანელი პირი „მრ“, რომელიც პასუხისმგებელი იყო განმცხადებლის 1998 წლის 19 სექტემბრის დაკითხვაზე, ასრულებდა ნიუნი ნოვგოროდის რეგიონის პროცესურორის მოადგილის როლს. განმცხადებელმა მიუთითა „ფ“-ს 2000 წლის 7 დეკემბრის განცხადებებზე, სადაც მან თქვა, რომ წინა დაკითხვაზე გამომძიებლებმა უგულებელყვეს მისი განაცხადი, 1998 წლის 10-19 სექტემბრის მოვლენებში „მრ“-ს მონაწილეობასთან დაკავშირებით. „მრ“ არ დაკითხულა გამოძიების არც ერთ ეტაპზე და მისი დაკითხვა აღარც მოხდება, რადგან იგი გარდაიცვალა 2002 წლის ზაფხულში.

96. 2002 წლის აგვისტოში განმცხადებელმა პროცესურატურას მოსთხოვა, №39 საავადმყოფოს პაციენტ „ქ“-ს დაკითხვა, მაგრამ უსარგებლოდ. 2002 წლის 5 სექტემბერს პროცესურატურამ საქმე იმ მიზეზით შეწყვიტა, რომ, *inter alia*, შეუძლებელი იყო „ქ“-ს პოვნა მის საცხოვრებელ ადგილას. იცოდნენ რა, რომ „ქ“ იყო ქმედუუნარო და ბორბლებიანი სავარძლის მომხმარებელი, განმცხადებელი და მისი წარმომადგენლები დაუკავშირდნენ „ქ“-ს და აღმოაჩინეს შემდეგი: გამომძიებელმა „ნ“-მ, ვინც პასუხისმგებელი იყო განმცხადებლის საქმეზე, ლენინსკის პოლიციას მოსთხოვა „ქ“-ს მოძებნა. ამ მოთხოვნის შესრულება დაევალა „ო“-ს, პოლიციის იმ თვიცერს, რომელიც ჩართული უნდა ყოფილიყო მითითებულ ცუდად მოპყრობის ფაქტში. „ო“-მ განაცხადა, რომ მან რამდენჯერმე სცადა „ქ“-ს დაკითხვა, მაგრამ ერთ შეძლო მისი პოვნა მისამართზე. 2002 წლის 26 სექტემბერს „ქ“-მ განმცხადებლის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ადამიანმა, რომელმაც თავი წარუდგინა როგორც გამომძიებელმა, ფაქტობრივად ერთხელ დაურეკა და უთხრა, რომ უნდოდა მისი დაკითხვა. „ქ“-მ მზადყოფნა განუცხადა, მაგრამ სატელეფონო საუბრის შემდგა ეს ადამიანი აღარ გამოჩენილა.

97. აპლიკანტის აზრით, დამოუკიდებლობის ნაკლებობა ასახული იყო როგორც მტკიცებულებების შეგროვებაში, ისე გამომძიებლების მიერ მათი შეფასების ფორმაშიც. მაგალითად, გამომძიებელმა უგულებელყო განმცხადებელთან ერთად პალატაში მყოფი „ბ“-ს ჩვენება. მან ასევე არანაირი მნიშვნელობა არ მიანიჭა საავადმყოფოს სხვა პაციენტების ჩვენებებს. გამომძიება არ იყო საკმარისად მცაცრი იმისთვის, რომ მომხდარი კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლებთან თანხვედრა და ხელისუფლების მხრიდან არ მოიცავდა არანაირ სერიოზულ მექანიზმს, რომ დაედგინა თუ რა მოხდა სინამდვილეში განმცხადებლის დაკავებისას. პირიქით, ის მიმართული იყო, იქითკენ, რომ მიეჩქმალა ჩადენილი დანაშაული და დაეცვა პასუხისმგებელი პირები.

98. საბოლოოდ, განმცხადებელმა განაცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება, არ წარმოედგინა კომენტარები ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიებაში მყოფი სისხლის სამართლის საქმის მასალების წარდგენის სურვილის არქონასთან ერთად, უნდა

განიმარტებოდეს როგორც განმცხადებლის პოზიციის მხარდაჭერა და კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი და პროცედურული დასაწევისი.

3. შესაბუ მხარის განცხადებები და მთავრობის პასუხი

99. წერილობით განცხადებებში რედრეს ტრასტმა მოიშველია უვროპული სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი წესები წამებისა და ცუდად მოპყრობის ნებისმიერი ფორმის აკრძალვის თაობაზე. შემდეგ რედრეს ტრასტმა და რუსეთის ადამიანის უფლებების დაცვის არასამოავრობო ორგანიზაციაში შეოანხმებულად განაცხადეს, რომ რუსეთის საგამოძიებო სისტემებს აკლდათ ძირითადი პროცედურული დაცვის მექანიზმები, რაც პირველ რიგში, ახდენს გამოძიებაში მუოფი პირების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას და მუორე რიგში, იცავს საგამოძიებო ხელისუფლების მხრიდან წამების, ან სხვა სახის ცუდად მოპყრობის მსხვერპლთა ინტერესებს. მათ აქცენტი გააკეთეს იმასე, რომ პრაქტიკაში, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ცუდად მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება საკმაოდ სუსტად მიმდინარეობდა, ძირითადად იმიტომ, რომ გამოძიებას წამების კუთხით ატარებდა იგივე საგამოძიებო ორგანო, რომელიც, მითითებისამებრ, ჩართული იყო ცუდად მოპყრობის აქტში. ისინი ასახელებდნენ სხვა ფაქტორსაც, რომელიც, მათი შეხედულებით, წინასაგამოძიებო პროცესში არსებული ცუდად მოპყრობის ფაქტის გამოძიების უფექტურობას ამცირებდა.

100. მთავრობამ პრეტენზია გამოთქვა მესამე მხარედ აღნიშნული არასამოავრობო ორგანიზაციების მონაწილეობაზე სასამართლოში და სთხოვა სასამართლოს მათი მოსახულებების უარყოფა როგორც აბსტრაქტულისა და უსარგებლოსი. მთავრობამ ასევე აცნობა სასამართლოს, რომ მესამე მხარის განცხადებისაგან განსხვავებით, რუსეთში ცუდად მოპყრობისაგან დაცვის მექანიზმები არსებობს და ზრდას განიცდის. პირველ რიგში, რუსეთის კონსტიტუცია კრძალავს ცუდად მოპყრობის ნებისმიერ ფორმას. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი ითვალისწინებდა, რომ სისხლის სამართლის საქმისწარმოების მხარეები არ უნდა დაექვემდებარონ ძალადობას ან მუქარას. დამატებით, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელს ითვალისწინებს წამებისთვის (მუხლი 117), სამსახურებრივი ძალაუფლების გადაჭარბებულად გამოყენებისთვის (მუხლი 286), მტკიცებულებების მიცემისას იძულებისათვის (მუხლი 302). დაბოლოს, სამოქალაქო კოდექსის 1070-ე მუხლის მიხედვით, უკანონო დაპატიმრებით, ბრალდებით ან გასამართლებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი არის სახელმწიფო, მიუხედავად იმისა არის თუ არა ჩართული სახელმწიფო ხელისუფლების ბრალდებული პასუხისმგებლობა.

101. დაბოლოს, მთავრობის განცხადებით, არსებული სამართლებრივი მექანიზმები პრაქტიკაში ეფუძნებული და იყო გამოყენებული. ამდენად, 2003-2004 წლებში საჯარო პროცედურობებმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ კანონის დარღვევის 685 ფაქტი გახსნეს, რის შედეგადაც, 350 სახელმწიფო მოხელე მიეცა დისკიპლინურ პასუხისმგებაში. 2000 და 2004 წლებს შორის სახელმწიფო პროცესუატურის სამსახურებმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა წინააღმდეგ, 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის (დ) საფუძველზე (წამება), 5 საქმე წარადგინეს, რომელთაგან ოთხი სასამართლოს წარედგინა. იმავე პერიოდში, 302-ე მუხლის საფუძველზე (წვენების მიცემის იძულება) აღმრული 42 საქმიდან 25 სასამართლოს გადაეცა. უფრო მეტიც, 3 388 საქმე აღიძრა თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით, შედეგად 4 204 მოხელის გასამართლებით. მთავრობამ წარადგინა ორი გადაწყვეტილების ეპიზოდები, რაც მათი განცხადებით, ადასტურებს ზემოთ აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობას. მთავრობამ ასევე მიუთითა სხვა საქმეებზე, რომლებშიც მოხდა პოლიციის ოფიცირების წარმატებული

ბრალდება და შიდა სახელმწიფოს სასამართლოებისათვის მათი წარდგენა, კონვენციის მე-3 მუხლის ინტერპრეტაციით, ცუდად მოპყრობის ფაქტის გამო.

4. სასამართლოს შეფასება

a. სასამართლოს მიერ მოცემული საქმის მტკიცებულებების შეფასება

102. სასამართლო იმეორებს, რომ ცუდად მოპყრობის თაობაზე მითითება გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებებით (იხ. *mutatis mutandis*, კლაასი გერმანიის წინააღმდეგ, 1993 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №269, გვ. 17-18, პუნქტი 30). მტკიცებულებების შესაფასებლად, სასამართლო ქმნის მტკიცების სტანდარტს „გონივრული ეჭვის მიღმა“, თუმცა, როდესაც მოვლენები მოლიანად ან ნაწილობრივ უქვევა ხელისუფლების იურისდიქციის ფარგლებში, როგორც მაგალითად, საპატიმროებში მყოფი პირები არიან ხელისუფლების კონტროლის ქვეშ (როგორც მოცემულ საქმეში), სერიოზულად დგება პრეზუმეციის საკითხი, იმასთან დაკავშირებით, რომ დაზიანებები ადამიანს სწორედ დაკავების დროს მიადგა. ასეთ შემთხვევებში, მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ და მათ ევალებათ წარმოადგინონ დამაქმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება (იხ. სალმანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], № 21986/93, პუნქტი 100, ადამიანის უფლებების უროპული სასამართლო 2000-VII). ასეთი განმარტების წარმოუდგენლობის შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია გააკეთოს რესპონდენტი მხარისათვის არასასიამოვნო დასკვნა (იხ. ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ, №25656/94, § 274, 2002 წლის 18 ივნისი).

103. მოცემულ საქმეში, სასამართლომ, იმისათვის, რომ შეაფასოს განმცხადებლის საჩივრის საქმის გარემოებანი, დარღვევების ხასიათიდან გამომდინარე, მთავრობას მოსთხოვა კრიმინალური გამოძიების საქმის, კერძოდ, საქმე №68241-ის მასალების ასლების მისთვის მიწოდება. მთავრობამ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 161-ე მუხლზე დაყრდნობით, უარი განუცხადა სასამართლოს მოთხოვნილი დოკუმენტების მიწოდებაზე. მთავრობამ ასევე საქმის არსთან დაკავშირებით არ წარადგინა არანაირი მიმოხილვა.

104. სასამართლომ განიხილა მთავრობის მიერ მითითებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 161-ე მუხლი და გამოძიების მასალების სასამართლოსთვის დახურვის საკითხი საგამოძიებო ხელისუფლების დისკრეციის ქვეშ დატოვა. მან ასევე დაადგინა, რომ საქმის მასალების დახურვა არ შეიძლება ჩაითვალოს არც გამოძიების სწორად წარმართვისთვის ხელის შემშლელად და არც პროცესის მხარეების უფლებების ან ინტერესების დარღვევად. მთავრობამ არ განმარტა, რა ფორმით იქნებოდა საზიანო გამოძიებისთვის, ან ჩართული პირებისთვის, მოთხოვნილი დოკუმენტაციის სასამართლოსათვის დახურვა. მათ ასევე არ მიუციათ დამაჯერებელი ახსნა იმისა, თუ რატომ არ მიაწოდეს სასამართლოს ის შესაბამისი დოკუმენტები და ინფორმაცია, რომლებსაც ისინი აშკარად ფლობდნენ.

105. აღნიშვნულ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს; რომ შეუძლია დასკვნის გაკეთება მთავრობის ქმედობიდან და ასევე შეუძლია განიხილოს საქმის გარემოებები განმცხადებლის არგუმენტაციის მასალებში არსებული ულემენტების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია გარკვეულ ფაქტებს გაურკვევლად ტოვებს. სასამართლო ასევე მხედველობაში მიიღებს 2005 წლის 30 ნოემბერს ნიუნი ნოვგოროდის ლენინსკის რაიონული სასამართლოს მოსმენაზე განხილულ მონაცემებს.

ბ. 1998 წლის 19 სექტემბრის შემთხვევასთან დაკავშირებული გამოძიების არაეფექტურობა

106. რაც შეეხება გამოძიების ეფექტურობას. სასამართლო მხედველობაში იღებს მესამე მხარის კრიტიკას რუსეთის სისხლის სამართლის საგამოძიებო სისტემის შესახებ და მთავრობის საწინააღმდეგო არგუმენტაციას. თუმცა სასამართლოს ვალდებულება არ არის ზოგადად სისტემის დეფაქტების შეფასება. ის ყორადღებას გაამახვილებს კონკრეტულ ფაქტებზე, რათა დაადგინოს იყო თუ არა განმცხადებლის მიერ გასახივრებული გამოძიების მსვლელობა არაეფექტური კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში.

I. საყოველო პრინციპები

107. სასამართლო იმეორებს, რომ პირველ რიგში, მოცემული გამოძიების დასკვნების არარსებობა არ ნიშნავს მის არაეფექტურობას: გამოძიების ვალდებულება არის „არა შედეგი, არამედ საშუალება“ (იხ. პოლ და ოდრი ეფვარდსები გაურთიანებული სამეცნიერო მინალმდებარებული, №46477/99, § 71, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 2002-II). არ არის სავალდებულო, რომ ყველა გამოძიება იყოს წარმატებული და ემთხვევოდეს მოსარჩევის მიერ მოვლენების აღწერას; თუმცა პრინციპში, ის უნდა იყოს საქმის ფაქტების დადგენისუნარიანი და თუ მითითებული დადასტურდება, შეეძლოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დახვა (იხ. *mutatis mutandis*, მასშტაბით თურქეთის წინააღმდებარებული, №22535/93, § 124, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 2000-III).

108. ამდენად, სერიოზული მტკიცება ცუდად მოცურობასთან დაკავშირებით მკაცრად უნდა იქნეს გამოძიებული, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება მუდმივად უნდა ცდილობდეს იმის დადგენას, თუ რა მოხდა და არ უნდა დაეყრდნოს სწრაფ და არასწორად გაკეთებულ დასკვნების არც გამოძიების დახურვასთან დაკავშირებით და არც როგორც მათი გადაწყვეტლების საფუძველს (იხ. ასეზოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდებარებული, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VIII, პუნქტი 103 *et seq.*). მათ უნდა მიიღონ ყველა შესაძლებელი გონივრული ზომა, რომ დაიცვან შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის, *inter alia*, თვითმხილველი მოწმის ჩვენება, სასამართლო მტკიცებულებები, და ა.შ. (იხ. *mutatis mutandis*, საღმანი თურქეთის წინააღმდებარებული, ზემოთ აღნიშნული, პუნქტი 106, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 2000-VII; ტანრიკულუ თურქეთის წინააღმდებარებული, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო 1999-IV, პუნქტი *et seq.*; გული თურქეთის წინააღმდებარებული, №22676/93, პუნქტი 89, 2000 წლის 14 დეკემბერი). გამოძიების ნებისმიერი დეფაქტი, რომელიც ეჭვეჭვეშ აყენებს მის შესაძლებლობას, დაადგინოს ზიანის გამომწვევი მიზეზები ან მოახდინოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიკაცია, აღნიშნულ სტანდარტს რისკის ქვეშ აყენებს.

109. უფრო მეტიც, გამოძიება მიზანმიმართული უნდა იყოს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე განხილულ საქმეებში. იქ, სადაც ოფიციალური გამოძიების ეფექტურობის საკითხი იღვა, სასამართლო ხშირად აფასებდა, რამდენად სწრაფად და შესაბამის დროს მოხდა რეაგირება საჩივრის მიღების შემდეგ (იხ. ლაბიტა იტალიის წინააღმდებარებული, №26772/95, პუნქტი 133 *et seq.*, ადამიანის უფლებათა უვროპული სასამართლო 2000-IV). მსედველობაში იქნება მიღებული გამოძიების დაწყების დრო, განცხადების გაკეთებისას დაყოფნება (იხ. ტიმურგასი თურქეთის წინააღმდებარებული, №23531/94, პუნქტი 89, ადამიანის უფლებათა უვროპული სასამართლო 2000-VI და ტურქი თურქეთის წინააღმდებარებული, 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-IV,

პუნქტი 67) და პირველადი გამოძიების ვადა (იხ. ინდელიკატო იტალიის წინააღმდეგ, №31143/96, პუნქტი 37, 2001 წლის 18 ოქტომბერი).

110. დაბოლოს, სასამართლო იმეორებს, იმისათვის, რომ გამოძიება მითითებულ ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით იყოს უფექტური, ის უნდა იყოს დამოუკიდებელი (იხ. ოგური თურქეთის წინააღმდეგ, [GC] №21954/93, აღმიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999-III, პუნქტი 91-92; იხ. ასევე მჯგურ ემინ იუსტიციი თურქეთის წინააღმდეგ, №40154/98, პუნქტი 37, 2004 წლის 20 ივნისი). შესაბამისად, გამოძიებას აკლია დამოუკიდებლობა, როდესაც გამოძიებას ატარებენ იმავე სამმართველოს, ან სექციის თანამშრომლები, რომლებსაც ბრალად ედებათ ცუდად მოპყრობა (იხ. გულეკი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, აგვარიშები 1998-IV, პუნქტი 80-82). გამოძიების დამოუკიდებლობა გამოიხატება არა მარტო იერარქიულ და ინსტიტუციონალურ კავშირში, არამედ პრაქტიკულ დონეზე (იხ. მაგალითად, ერგი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, აგვარიშები 1998-IV, პუნქტი 83-84, სადაც საჯარო პროცერორი იძიებდა, თავდაცვის ძალებისა და PKK-ს შეტაკებისას გოგონას სიკვდილის ფაქტს და გამოხატა დამოუკიდებლობის ნაკლებობა, როდესაც მთლიანად დაეყრდნო შემთხვევაში ჩართული უანდარმების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას).

2. მოცემულ ხაქტეში ამ პრინციპების გამოყენება

111. პირველი, არ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ამ საქმეში აბსოლუტურად პასიური იყო. მაგალითად, გამომძიებელმა დაკითხა ლენინსკის პოლიციის განკოფილების ოფიციელი, №33 და №39 საავადმყოფოების პერსონალი და პაციენტები, მიიღო განმცხადებლის მდგომარეობის სამედიცინო ჩანაწერი და მისი მენტალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის სასამართლო შემოწმების ანგარიში და ა.შ. თუმცა გამოძიების მასალების უქონლობის შემთხვევაში სასამართლოსათვის შეუძლებელია შეაფასოს საგამოძიებო მექანიზმების შესრულების ხარისხი, რაც გამოიხატება იმაში, თუ როდის და როგორ იქნა შეგროვებული მტკიცებულებები, რა კითხვები დაუსვა გამომძიებელმა ექსპერტებსა და მოწმეებს, რამდენად სწორად იქნა გადატანილი მათი პასუხები საგამოძიებო პროცესის შედეგად შექმნილ დოკუმენტში და ა.შ.

112. მეორე, სასამართლოს ხელთ არსებული მასალები, კურმოდ, გამომძიებლის გადაწყვეტილება საქმისწარმოების შეწყვეტის თაობაზე ჩათელს ხდის წინასწარი, ოფიციალური გამოძიების დროს დაშვებულ მნიშვნელოვან გადაცდომებს. მაგალითად, არ ჩანს, იყო თუ არა მცდელობა დაედგინათ განმცხადებლის წამებისა და შედეგის მითითებული გარემოებები. ფაქტი, რომ ასეთი ძიება ჩატარებული იყო და მტკიცებულების მნიშვნელოვანი ჩაწილი (განმცხადებლის მიერ დაწერილი აღიარება) ნაპოვნი იყო, მხოლოდ 2005 წლის 30 ნოემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებაში იყო ნახსენები. გამომძიებელს არ უცდია კორვა და დაეკითხა ის ადამიანები, ვინც განმცხადებელთან ერთად იმყოფებოდა წინასწარი დაკავების საკანში 1998 წლის 10-19 სექტემბერს და ვისაც შეეძლო პქონოდა საჭირო ინფორმაცია განმცხადებლის ქცევის შესახებ თვითმეცნილების მცდელობამდე; ასევე არ ჩანს, დაკითხა თუ არა როდისმე გამომძიებელმა განმცხადებელთან ერთად პალატაში მყოფი „ვ“.

113. მესამე, უამრავი საგამოძიებო საშუალება საკმაოდ დაგვიანებულად იქნა გამოყენებული. მაგალითად, სასამართლო სამედიცინო შემოწმება თარიღდება 1998 წლის 26 ოქტომბრით, რაც მითითებული ცუდად მოპყრობიდან ხუთ კვირაზე მეტია. განმცხადებლის მიერ ცუდად მოპყრობაში ეჭვმიტანილი ოფიციელის ამოცნობა შემთხვევიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ ჩატარდა. აპლიკანტის დედა მხოლოდ

2001 წელს დაიკითხა, ხოლო №33 საავადმყოფოს ექიმი „მ“ არ დაკითხულა 2001 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო პირველი მოწმეთაგანი, ვინც განმცხადებელი ხახა შემთხვევის შემდეგ. გამომძიებულმა №39 საავადმყოფოს პერსონალი და პაციენტები 2000 წლის იანვრამდე არ დაკითხა („მ“-სა და ექიმ „გ“-ს გარდა, რომელთა დაკითხვაც მოხდა პირველადი გამოძიების დროს). დაბოლოს, განმცხადებლის ფსიქიატრიული შემოწმება განხორციელდა მხოლოდ 2001 წელს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუნგალური მდგომარეობა ხელისუფლების მიერ იყო გართულებული, როგორც თვითმკვლელობის მცდელობის განმარტება და როგორც საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველი.

114. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებები საქმისწარმოების განახლების თაობაზე მიიღებოდა შემდგომი და მეტი ფაქტების გამოძიების მიზნით. თუმცა ეს მითითებები გამომძიებლების მიერ ყოველთვის არ სრულდებოდა. ამდენად, საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ 1999 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება იმავე საფუძლებით იყო გამყარებული, რითაც 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება. 2000 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება თითქმის იდენტურ მტკიცებულებებსა და მსჯელობებს ეფუძნებოდა. 2000 წლამდე, სანამ საქმე სხვა გამომძიებელს არ გადევცა, გამოძიება არ წასულა წინ და ახალი არგუმენტები და ინფორმაცია არ გაჩენილა გამომძიებლის გადაწყვეტილებაში. ამდენად, ძვირფასი დრო დაიკარგა. სასამართლოს შეხედულებით, ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოძიების წარმატებაზე ნებატიური ეფექტი იქონია.

115. მეოთხე, სასამართლო აღნიშნავს, რომ აშკარა კავშირი არსებობდა გამოძიებაზე პასუხისმგებელ პირებსა და მითითებულ ცუდად მოპყრობაში მონაწილე პირებს შორის. სასამართლო აცხადებს, რომ შემთხვევის დღეს განმცხადებლის დაკითხვა მიმდინარეობდა ნიუნი ნოვგოროდის ლენინსკის რაიონის პოლიციის განყოფილებაში. დაკითხვა დაიწყო პოლიციის მთავარი გამომძიებლის, შეს აღგილობრივი განყოფილების უფროსის მოადგილისა და პროექტურატურის რიჩ ხელმძღვანელი პირის, ბოგოროდსკის ქალაქის პროკურორისა და რეგიონული პროკურორის მოადგილის, „მრ“-ს თანდასწრებით. პლიკანტების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ „მრ“ არ ესწრებოდა განმცხადებლის წამებას, მას არ ჰქონია რეაქცია განმცხადებლის საჩივარზე ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, როდესაც განმცხადებელმა უარი განაცხადა „მს“-ს მკვლელობის აღიარებაზე, „მრ“-მ ის საწამებლად ისევ პოლიციელებს გადასცა. უფრო მეტიც, მიუწედავად იმისა, რომ ცნობილი იყო 1998 წლის 19 სექტემბრის დაკითხვაში „მრ“-ს მონაწილეობის ფაქტის და ცუდად მოპრობის შესახებ საჩივარზე რეაგირების არარსებობის შესახებ, საქმე გამოძიებისათვის გადასცეს ნიუნი ნოვგოროდის ლენინსკის რაიონის პროკურატურის სამსახურს, რომელიც პირდაპირ ექვემდებარებოდა რეგიონული პროკურორის. სამსახურს, სადაც „მრ“-ს ეკავა მნიშვნელოვანი ონამდებობა. შემდეგ წლებში, მიუხედავად საქმის მრავალჯერ დახურვისა და განახლებისა, საქმე განსახილველად მაინც იმავე რაიონული პროკურატურის სამსახურს ჰქონდა. მხოლოდ 2004 წელს, საქმე გადაეცა მსგავსი მნიშვნელობის საგამოძიებო საქმეების განმხილველ დეპარტამენტს, თუმცა ის მაინც იმავე რეგიონის პროკურატურის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა.

116. გამოძიების მსვლელობიდან ასევე ჩანს, რომ პროკურატურა მჭიდროდ თანამშრომლობდა ლენინსკის რაიონის პოლიციასთან. ინსპექტორ „ო“-ს, რომელიც განმცხადებელმა ამოიცნო როგორც ერთ-ერთი მისი მწამებელი 1998 წელს, დაევალა მოწმე „გ“-ს პოვნა. „ო“-მ პროკურატურის სამსახურს აცნობა, რომ ის „გ“-ს მითითებულ მისამართზე ეძებდა, მაგრამ ეურ შეძლო მისი ჩახეა. მოგვიანებით, „გ“-მ მისცა ჩვენება, რომ პოლიციიდან არც კი უცდია ვინმეს მისი სახლში მონახულება. ამდენად, ოფიციალური გამოძიების მნიშვნელოვანი ნაბიჯი ანდეს ორი მთავარი ეჭვმიტანილიდან ერთ-ერთს.

117. სასამართლო აღნიშნავს პროკურატურის სამსახურის მხრიდან არჩევით და გარკვეულწილად, უსაფუძვლო მიდგომას მტკიცებულებების შეგროვებისა და შეფასების თაობაზე. საქმის დახურვის პირველი გადაწყვეტილება, რომელიც თარიღდება 1998 წლის 21 დეკემბრით, ძირითადად ეფუძნებოდა პოლიციის იმ ოფიციალურის ჩევნებებს, რომელიც ჩართული იყვნენ 1998 წლის 19 დეკემბერს განმცხადებლის დაკითხვაში და ამდენად, არ შეიძლება ისინი მიუკერძოებელ მოწმეებად ჩაითვალონ. გამომძიებულმა, ამავე დროს, მხედველობაში არ მიიღო აპლიკანტან ერთად პალატაში მყოფი „ბ“-ს განცხადებები. გამომძიებულმა „ბ“-ს ჩევნებები უარყო, ვინაიდან მას არ პქონდა სპეციალური სამედიცინო ცოდნა და ვერ განასხვავებდა ელექტროშოკით მიღებულ დამწერობას ფანჯრიდან გადმოვარდნისას მიღებული დაზიანებებისაგან. იმავდროულად, გამომძიებული მიუთითებს საგზაო პოლიციაში განმცხადებლის ყოფილ ხელმძღვანელზე, რომელიც აცხადებდა, რომ განმცხადებელი სუსტი პიროვნება იყო. ეს ჩევნება გამომძიებლის მიერ შეკითხვის დასმის გარეშე იყო მიღებული და მეტიც, მიღებული იყო როგორც გადამწყვეტი მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვების აეტორი არ იყო პროფესიონალი ფსიქოლოგის ან ფსიქიატრიის სფეროში.

118. შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო შემოწმებამ 1998 წლის 26 ოქტომბერს ვერ დაადგინა მის ყურებზე ელექტროდამწვრობა, ის მაინც დადგენილია, რომ განმცხადებელს ენაზე პქონდა კბენის ნიშნები. გამომძიებული არ განმარტავს როგორ შეიძლებოდა ეს ჭრილობები ფანჯრიდან გადმოვარდნას გამოეწვია. 1998 წლის 19 სექტემბრის არაოფიციალური გამომძიებისას (იხ. ს 62), „ფ“-მ მისცა ჩევნება, რომ გამომძიებლებმა უგულებელყოს მისი განცხადება 1998 წლის მოვლენებში რეგიონული პროკურორის მოადგილის „მრ“-ს მონაწილეობაზე.

119. სასამართლო გარკვეულწილად გაოცებულია გამომძიებლის 1998 წლის 21 დეკემბრის ანგარიშის ფაქტობრივი მხარით. გამომძიებული აცხადებდა, რომ 1998 წლის 11 სექტემბერს განმცხადებელი გათავისუფლდა დაკავების იზოლატორიდან, მაგრამ შემდეგ ისევ მოხდა მისი დაკავება რკინიგზის სადგურში სიმშეიდის დარღვევის გამო. დროთა განმავლობაში იფიციალურად დადასტურდა, რომ ინსპექტორების „ნ“-ს, „ტ“-სა და „ლ“-ს (რომელსაც, როგორც მითითებულია, უნდა დაეპატიმრებინა განმცხადებელი რკინიგზის სადგურზე) ანგარიშები იყო მოვრნილი და იმ დროს განმცხადებელი პოლიციის ხელთ იმყოფებოდა. მაგრამ მოვლენების ეს წყობა გამეორებული იყო 1999 წლის 25 თებერვლის საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილებაში. სასამართლოს აზრით, ეს ფაქტი დამოუკიდებელი დამკვირვებლის თვალში მოახდენდა ოფიციალური გამომძიების ლოგიკურობის დისკრედიტაციას.

120. სასამართლო ასევე აქცენტს აკეთებს იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად გასაჩივრებული მოვლენებისა, საქმემ სასამართლო სტანიას არ მიაღწია შეიდი წლის განმავლობაში. წინასწარი გამომძიება შეწყდა და განახლდა თხუთმეტზე მეტჯერ და გასაგებია, რომ ამ ხნის განმავლობაში საგამოძიებო პროცედურა იყო უბრალო ფორმალობა, პროგნოზირებადი შედეგით. საბოლოოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება კიდევ არ არის საბოლოო.

121. ზემოთ ჩამოთვლილი სერიოზული დეფექტების გამო, განსაკუთრებით გამომძიების დროს, სასამართლო ადგენს, რომ ის არ იყო ადეკვატური ან საქმარისად ეფექტური. სასამართლო ასევე უარყოფს მთავრობის პრეტენზიას შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის არარსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ დაირღვა კონკრეტური მუნიციპალიტეტის მიერ მის პროცედურულ ნაწილში, რომელშიც მითითებული ცუდად მოპყრობის თაობაზე ჩატარებული გამოძიება არაუფექტური აღმოჩნდა.

გ. განმცხადებელის მიმართ მითითებული ცუდად მოპყრობა

1. მთავრობა

122. მთავრობამ ამ კუთხით განხილვა არ წარმოადგინა.

2. განმცხადებელი

123. განმცხადებლის მტკიცებით, პოლიციამ იგი აწამა და ცუდად მოეპყრო, რითაც დაირღვა კონვენციის მუზ მუხლი. მისი მტკიცებების დასადასტურებლად, მან წარადგინა, ადამიანის უფლებების რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციის ორი აქტივისტის მიერ 1999 წელს ჩატარებული 1998 წლის სექტემბრის მოვლენების არაოფიციალური გამოძიებისას მოპოვებული „ფ“-ს („მს“-ს მითითებულ მკვლელობაში ეჭვმიტანილი), „ბ“-ს, „გ“-სა და „ვ“-ს (№39 საავადმყოფოში განმცხადებელთან ერთად პალატაში მყოფი) ზეპირი ჩვენებების ჩანაწერები (შეჯამებული ზემოთ „ფაქტების“ ნაწილში). შემდეგ განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ცუდად მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებული გამოძიებისას, პოლიციის ოფიცრების მიერ გაკეთებული განცხადებები, იყო არალოგიკური და ასახავდა ხელისუფლებისაგან მიღებულ მოვლენების გართულებულ ვერსიას. მისი მოსაზრებების დასაცავად, განმცხადებელმა ოფიციალური გამოძიების საქმის მასალებიდან უამრავ დოკუმენტზე მიუთითა, მაგრამ მათზე მას ამჟამად არ ჰქონდა დაშვება.

124. განმცხადებელმა დაამატა, რომ ასევე არსებობდა ცუდად მოპყრობის დამადასტურებელი არასწორი მტკიცებულებები. კერძოდ, მან განაცხადა, რომ დაპატიმრებამდე, მისი ფიზიკური და მენტალური მდგომარეობა ნორმალური იყო მას არ ჰქონია ფსიქოლოგიური მოშლილობა ან პრობლემები, რასაც შეეძლო მისი მიევანა თვითმკვლელობის მცდელობამდე. ასევე არ აღნიშნებოდა ცუდად მოპყრობის კონკრეტული ნიშნები. საგზაო პოლიციაში მუშაობის დაწყებისას, მან გაიარა ფსიქოლოგიური შემოწმება, რომელმაც იგი დაახასიათა, როგორც მდგრადი და მენტალურად კარგ მდგომარეობაში მყოფი. თუმცა დაკავებიდან რამდენიმე დღეში ის დათანხმდა, ეღიარებინა მცირეწლოვანი გოგონას მკვლელობა და გაუპატიურება, საშინელი დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია (რაც ნათელი გახდა მოგვიანებით, როდესაც „მს“ უვნებელი დაბრუნდა სახლში), რის შემდეგაც თავის მოკვლა სცადა. •

125. შემდეგ, განმცხადებლის მიერ გადმოცემული 1998 წლის 10-19 სექტემბრის მოვლენები მოპასუხე მთავრობას არ გაუპროტესტებია. მთავრობამ გერ წარადგინა სისხლის სამართლის გამოძიების მასალები, რაც დაეხმარებოდა სასამართლოს საქმის გარემოებებში გარკვევაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის I61-ე მუხლის ინტერპრეტაცია მთავრობამ არასწორად გააკეთა და უფრო მეტიც, კონვენციის 34-ე მუხლისა და 38-ე მუხლის I-ლი პუნქტით დაკისრებულ ვალდებულებასთან შეუსაბამო იყო.

126. აპლიკანტმა სასამართლოს ჭურადლება ასევე მიაპყრო მისი დაკავების, პატიმრობისა და დაკითხვის გარემოებებს, რაც მისი შეხედულებით ააშკარავებდა ინდიფერენტულობას ნორმალური პროცედურის მიმართ, როდესაც გათვალისწინებული უნდა იყოს დამცავი მექანიზმები თანამდებობის პოროგად გამოყენების წინააღმდეგ, რეგორიცაა მისი ჩვენების დეტალური ჩაწერა, ადვოკატზე ხელმისაწვდომობა და ა. შ

3. სასამართლოს შეფასება

127. სასამართლომ მრავალ შემთხვევაში გაიმეორა, რომ ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას დაკავებული პირის ფიზიკური ხელშეუხებლობა. როდესაც პიროვნება დაკავე-

ბულია ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობით და გათავისუფლებისას აღმოაჩნდება დაზიანებები, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს დაზიანებების გამომწვევი მიზეზის დამაჯერებელი ახსნა (იხ. რიბიში აუცრიის წინააღმდეგ, 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №336, პუნქტი 34; იხ. ასევე *mutatis mutandis*, ხალმანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], №21986/93, პუნქტი 100, ადამიანის უფლებების უკროპული სასამართლო 2000-VII). სხვა შემთხვევაში წამებისა თუ ცუდად მოპყრობის ფაქტი მოსარჩელის სასარაგებლოდ გადაწყდება და საკითხი აღიძრება კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე.

128. სასამართლო აღნიშნავს, რომ შხარეები არ დავობენ იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელმა განიცადა სერიოზული დაზიანებები პოლიციის განყოფილების ფანჯრიდან გადმოხტომისას, რადგან ეს მან თვითონ ჩაიდინა. თუმცა იმასთან დაკავშირებით, თუ რამ მიიყვანა განმცხადებელი ოვითმკვლელობის მცდელობამდე, შხარეებს განსხვავებული ვერსია პქნდათ. ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ 1998 წლის 19 სექტემბრის დაკითხვა კანონიერი იყო და განმცხადებელი ოვითმკვლელობის მცდელობამდე პირადმა ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა მიიყვანა. განმცხადებელი არ დაეთანხმა ამ აზრს. მან განაცხადა, რომ ინციდენტამდე მას არ გამოუხატავს მენტალური აშლილობის რაიმე ნიშანი და მან თავის მოკვლა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ვეღარ გაუძლო წამებას და სურდა ტანჯვის დასრულება.

129. სასამართლო, ამ კუთხით, განიხილავს, რომ გამოძიების უველა ეტაპზე განმცხადებელი წარმოადგენდა თანმიმდევრულ და დეტალურ აღწერას, თუ ვინ აწამა და როგორ. 2001 წლის 27 მარტს ეს ფაქტი შიდა სასამართლომაც აღნიშნა. განმცხადებლის მითითებები გაამჟარა „ბ“-ს და განმცხადებლის დედის ჩვენებამაც, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ დაინახეს ელექტროდამწვრობა განმცხადებლის უურებსა და თავზე. საავადმყოფოს სხვა პაციენტებმა „ვ“-მ და „მ“-მ ასევე დაადასტურეს, რომ განმცხადებელს უურები დაზიანებული პქნდა. დაბოლოს, 1998 წლის 26 ოქტომბრის სასამართლო ანგარიშის მისედვით, განმცხადებელს პქნდა ქცენის ნიშნები ენაზე, დაზიანება, რომელიც ირიბად მეტყველებს განმცხადებლის მიერ გადმოცემულ მოვლენებზე. „ფ“-მ მისცა ჩვენება, რომ პოლიციაში ყოფნისას მას დაემუქრნენ იმავე ტიპის წამებით, რაც აღწერა განმცხადებელმა. შემდეგ მან ისევ მისცა ჩვენება, რომ საპატიმროში, მას სახეში ურტყამდნენ და ემუქრებოდნენ გაუპატიურებით და ელექტროშოკით წამებით (იხ. § 58). მოკლებნიანი დაპირისპირების დროს, „ფ“-მ განმცხადებლის კისერზე დალურჯებები დაინახა.

130. მეორე მხრივ, განმცხადებლის 1998 წლის 26 ოქტომბრის სასამართლო სამედიცინო შემოწმება არაფერს ამბობს სხვა სახის დაზიანებებზე, ფანჯრიდან გადმოვარდნისას მიღებული დაზიანებების გარდა. ხოლო №33 და №39 საავადმყოფოებში განმცხადებლის მკურნალ ექიმებს და ექთნებს არ აღუნიშნავთ ელექტროშოკის მიერ დატოვებული ნიშნები. საავადმყოფოს რამდენიმე პაციენტმა ჩვენებაში ასევე აღნიშნა, რომ მათ არ შეუმჩნევიათ განმცხადებლის უურებზე და თავზე არანაირი დამწვრობა, თუმცა განმცხადებელმა ახსენა, რომ იგი ელექტროშოკით' იყო ნაწამები.

131. ამდენად, მხოლოდ სასამართლოს ხელთ არსებული წინასაგამოძიებო მასალებიდან ძნელია „გონივრული ეჭვის მიღმა“ დადგინდეს, რა მოხდა სინამდვილეში და განვითარდებოდა რაოდნის პოლიციის განყოფილებაში 1998 წლის 19 სექტემბერს. იმავე დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი უურნარობა დაადგინოს, თუ რა მოხდა ამ მიმართულებით, გამომდინარეობს ხელისუფლების უმოქმედობიდან ეფუქტური და ადეკვატური გამოძიების ჩატარების თვალსაზრისით და მთავრობის უარიდან საგამოძიებო მასალების მიწოდების თაობაზე.

132. სასამართლოს განხილვით, განმცხადებელს ინციდენტამდე შესამჩნევი მენტალური პრობლემები არ ჰქონდა. რაც შეეხება მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, სიმართლეა ის, რომ მისმა ერთ-ერთმა კოლეგამ იგი სუსტ პიროვნებად დასახელდა. დამატებით, სამსახურში გავლილმა ფსიქოლოგიურმა ტესტმა აჩვენა, რომ განმცხადებელს ჰქონდა კონფლიქტების არიდებისაკენ მიღრეკილება და იუ მგრძნობიარე ადამიანი. თუმცა ეს მახასიათებლები აუცილებლად არ გულისხმობს, რომ მას თვითმკვლელობისაკენ ჰქონდა მიღრეკილება, როგორც ამას ხელისუფლება ფიქრობს. პირიქით, თვითმკვლელობის ნამდვილი მცდელობა მოითხოვს გარეულ პიროვნულ სიმამაცეს. სასამართლო შემდეგ აღნიშნავს, რომ ექსპერტების მიერ 2001 წელს ჩატარებულმა სასამართლო გამოკვლევამ (იხ. ს. 47), ვერ გამოავლინა განმცხადებელში თვითმკვლელობისაკენ მიღრეკილება. შესაბამის დროს. ამ მიმართულებით მოავრობისგან სხვა მასალების მიუწოდებლობის გამო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნულ შემთხვევამდე განმცხადებელს არ ჰქონია რაიმე მენტალური დეფექტი, რასაც შეეძლო ემოქმედა ამ საქმის შედეგზე.

133. ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებელი დაუქვემდებარა საქმაოდ სტრესულ სიტუაციას, როდესაც არასწორად იქნა ეჭვმიტანილი ასეთ საშინელ დანაშაულში. თუმცა არანაირი დამაჯერებელი ახსნა არ იყო წარმოდგენილი, თუ რატომ სცადა თავის მოკვლა მან, როდესაც იცოდა, რომ არ იყო დამნაშვე, მაშინ, როცა, როგორც ხელისუფლება აცხადებს, არანაირ იძულება არ ყოფილა.

134. უფრო მეტიც, სასამართლო ითვალისწინებს იმ მტკიცებულებას, რაც ლენინსკის რაიონულ სასამართლოში იყო წარდგენილი. ამასთან, სასამართლომ მოუსმინა „ვზ“-ს, რომელმაც განაცხადა, რომ ზუსტად იმავე მეთოდებით აწამეს ელექტროშოკით, როგორც აღწერა განმცხადებელმა. შემდეგ სასამართლომ დაკითხა „ვკ“, რომელმაც დაადასტურა, რომ მას მისი კოლეგებისგან ესმოდა, რომ განმცხადებელმა თავის მოკვლა სცადა, რადგან მას აწამებდნენ. საბოლოოდ, სასამართლომ შეამოწმა განმცხადებლის მიერ დაწერილი „აღიარება“, რაც ასევე ადასტურებდა მომხდარის მისეულ ვერსიას.

135. ამ გარემოებებში, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო, სასამართლო მზად არის მიიღოს, რომ განმცხადებელს პატიმრობაში ყოფნისას სერიოზულად ცუდად მოპყრონებ სახელმწიფო მოხელეები იმ მიზნით, რომ მისგან მიეღოთ აღიარება ან ინფორმაცია იმ დანაშაულზე, რის ჩადენაშიც იყო ეჭვმიტანილი. მის მიმართ გამოყენებულმა ცუდად მოპყრობის მეთოდებმა გამოიწვია ისეთი საშინელი ფიზიკური და მორალური სტრესი, რომ განმცხადებელმა თვითმკვლელობა სცადა, რამაც გამოიწვია მთავარი და მუდმივი ფიზიკური ქმედუუნარობა. ამ კუთხით, არსებული კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით და კერძოდ, სისასტიკის კრიტერიუმისა და ცუდად მოპყრობის მიზნის გათვალისწინებით (იხ. სხვა ავტორებს შორის, ილანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], №22277/93, ს. 85, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-VII), სასამართლო ასკვნის, რომ აღნიშნული ცუდად მოპყრობა გაუთანაბრდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ წამების გაგებას.

136. შესაბამისად, ამ საფუძველზე დაირღვა მე-3 მუხლი.

დ. სხვა საჩივრები მე-3 მუხლის მიხედვით

137. განმცხადებელი აცხადებდა, რომ აღნიშნული ცუდად მოპყრობა შესაძლებელი გახადა, *inter alia*, კრიმინალური გამოძიების მსვლელობისას ჩადენილმა სერიოზულმა პროცედურულმა დარღვევებმა, რაც დაკავშირებული იყო „მს“-ს გაუჩინარებასთან.

თუმცა სემოთ ადნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო საქმის ამ ასპექტის ვალკე განხილვას საჭიროდ არ მიიჩნევს.

II. პონავენციის მე-13 მუხლის მითითებული დარღვევა

138. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ უარი ეთქვა ეფექტურ საშუალებაზე ცუდად მოპყრობის საჩივართან დაკავშირებით კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად, რომელიც ადგენს:

მუხლი მე-13. ეფექტური საშუალების უფლება

„ყველას, ვისაც დაერღვა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილ იქნეს იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური უფლებამოსილებით“.

მან განაცხადა, რომ მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ცუდად მოპყრობის შემთხვევაში, მე-13 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს ვალდებულება გამოძიება აწარმოოს სწრაფად და მიუკერძოებლად.

139. მთავრობის არგუმენტები ამ საჩივარზე არ განსხვავდებოდა კონვენციის მე-3 მუხლის -თაობაზე წარმოდგენილი განაცხადისაგან.

140. სასამართლოს განცხადებით, კონვენციის მე-13 მუხლი სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ, როდესაც ირლევვა კონვენციით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მუხლი, მსხვერპლისათვის უნდა არსებობდეს ხელმისაწვდომი მექანიზმი დარღვევის გამო დააყენოს სახელმწიფო მოხელის, ან ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული დისკრეცია კონვენციის ამ დებულებით დაკისრებული ვალდებულების შესრულების ფორმასთან დაკავშირებით. როგორც ზოგადი მუხლი, თუ ერთი საშუალება, თავის მხრივ, გერ აქმაფოილებს მე-13 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ეს უნდა უზრუნველყოს შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმების ერთობლიობამ (იხ. სხვა ავტორებს შორის, კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ [GC] №30210/96, პუნქტი 157; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-XI; იხ. ასევე ცონკა ბელგიის წინააღმდეგ, № 51564/99, პუნქტი 75, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002-I).

141. თუმცა, მე-13 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულებები განსხვავდება განმცხადებლის საჩივრის ხასიათის მიხედვით და გარკვეულ შემთხვევებში კონვენცია მოითხოვს კონკრეტული საშუალებების გათვალისწინებას. მაგალითად, საქმეებში, სადაც საეჭვოა სიკვდილის ან ცუდად მოპყრობის ფაქტი, დარღვეულია ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი უფლებები, რომლებიც დაცულია კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით. მე-13 მუხლი მოითხოვს (შესაბამისი კომპენსაციის გადახდასთან ერთად) მკაცრ და ეფექტურ გამოძიებას პასუხისმგებელი პირების დადგენით და დასჯით (იხ. ანგულოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, №38361.97, პუნქტები 161-162, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002-IV; ისენივი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, ზემოთ ნახსენები, პუნქტი 114 *et seq.*; სუმელა აიღინი თურქეთის წინააღმდეგ, №25660/94, პუნქტი 208, 2005 წლის 24 მაისი).

142. მოცემულ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისთვის 1998 წლის 19 სექტემბერს მიყენებული

დაზიანებებისათვის, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახელმწიფო ხელისუფლებას. ამდენად, განმცხადებლის საჩივარი, ამ კუთხით, მე-13 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე „სადავო“ იყო (იხ. პილი და რაისი გაერთიანებული სამჯოს წინააღმდეგ, 1988 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, სერია ა, №131, გვ. 23, პუნქტი 52). ასე რომ, ხელისუფლებას გააჩნდა ვალდებულება ჩატარებინა ეფექტური გამოძიება განმცხადებლის ფანჯრიდან გადმოვარდნის გარემოებებთან დაკავშირებით. ზემოთ აღნიშნული მიხესბის გამო (იხ. გადაწყვეტილების „სამართლის“ ნაწილის I ნაწილი), არანირი დამაკავშირებლად ეფექტური კრიმინალური გამოძიება არ ჩატარებულა. სასამართლომ, თავის მხრივ, დაადგინა, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა საკმარისად ეფექტური გამოძიების ჩატარებაზე პოლიციის მხრიდან ცუდად მოპყობის თაობაზე და შესაბამისად, ამ მხრივ, ნებისმიერ სხვა ხელმისაწვდომ საშუალებაზე, მათ შორის, კომპენსაციის მიღების სარჩელზე.

143. შედეგად, ამ მიმართულებით, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

III. კონვენციის 34-ე და 38-ე მუხლების მითითებული დარღვევა

144. განმცხადებელმა, მისი დაშვებადობის შემდგომ განხილვებში, ასევე გაასაჩივრა, რომ გამოძიების მასალების დახურვა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან არ შეესაბამებოდა კონვენციის 34-ე მუხლს და 38-ე მუხლის 1-ელ პუნქტს. 34-ე მუხლი იკითხება შემდეგნაირად:

„სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირისაგან, სამთავრობო ორგანიზაციების ან ფიზიკური პირისაგან, რომლებიც ამგენცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მოვალენი არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების მაქსიმალურ გამოყენებას.“

38-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტი გულისხმობს:

„1. თუკი სასამართლო გამოაცხადებს, რომ განაცხადი მიღებულია, იგი:

ა) შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად, და თუკი საჭირო იქნება, ჩატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ საშუალებას“.

145. მხედველობაში მიიღო რა მისი ზემოთ დაფიქსირებული მსჯელობები კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები, სასამართლო მიიჩნევს, რომ აუცილებელი არ არის კონვენციის 34-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე წარდგენილი საჩივრის ცალკე განხილვა.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის ბამოყენება

146. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა, და თუკი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართლი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.“

ა. განმცხადებლის მოთხოვნა სამართლიან დაკმაყოფილებაზე

147. პირველი, განმცხადებელმა მოითხოვა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 1998 წლის 19 სექტემბრის შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანებების მკურნალობისათვის. მან განაცხადა, რომ 1998 წლიდან სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციები და კერძო დონორები ფარავდნენ მისი მკურნალობის სარჯებს, მაგრამ მას არ შეეძლო მათვის მუდმივად დახმარების თხოვნა. ამის გამო, მას დასჭირდა სხვა რესურსების მოძებნა. ექიმ ლ. მაგნუტოვას ანგარიშის მიხედვით (იხ. ზემოთ), განმცხადებლისთვის საავადმყოფოში გაჩერების საფასური, თუ გაეითვალისწინებთ, რომ მას ეს დასჭირდება წელიწადის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ, შეადგენს 60 000 რუსულ რუბლს. დამატებით, განმცხადებელს მოუწია დღეში 300-500 რუსული რუბლის დახარჯვა წამლებსა და პერსონალური პიგიენის ნივთებზე. შედეგად, სამედიცინო მიზნებით დანახარჯების მთლიანი რაოდენობა შეადგენს წლიურად 362 500 რუსულ რუბლს. ამ გაანგარიშებით განმცხადებელი ითხოვს 23 562 500 რუსულ რუბლს, რათა დაფაროს მისი მომავალი სამედიცინო სარჯები 65 წლამდე.

148. განმცხადებლის თქმით, მას პირველი ხარისხის ქმედუუნარობის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. მას მუშაობისა და ფულის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა, სჭირდება მუდმივი მომვლელი და ვინაიდან მის ოჯახს არ ჰქონდა ამ მომსახურების საფასურის გადახდის საშუალება, მისმა დედამ დატოვა სამსახური, რათა მისთვის მიეხედა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი (დედის) შემოსავლის დაკარგვა უნდა ჩათვლილიყო მატერიალურ დანაკარგვად. შემდეგ განმცხადებელი მოითხოვდა მისი პირადი შემოსავლების რაოდენობის ანაზღაურებას. ანგარიშისას დაეყრდნო რა რუსეთში შესაბამის დროს საშუალო ხელფასის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, განმცხადებელმა მოითხოვა 2 736 384 რუსული რუბლი დაკარგული შემოსავლის ანაზღაურებისათვის და 513 072 რუსული რუბლი მისი მშობლის დაკარგული შემოსავლის კომპენსაციის მიზნით.

149. ჯამში განმცხადებელი მოითხოვდა 27 351 812 რუსულ რუბლს მატერიალური ზიანისათვის (დაახლოებით 794 000 ევრო ბოლო ოფიციალური კურსით).

150. განმცხადებელი ასევე მოითხოვდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას. ის აცხადებდა, რომ პილიციის განყოფილებაში ის აწამელი კლეიტონშოკით, რამაც გამოიწვია სასტიკი ფიზიკური და მენტალური სტრესი. უფრო მეტიც, მისი ფანჯრიდან გადმოვარდნა გადაიზარდა ძალიან სერიოზულ და მტკიცნეულ ტრაგმაში. მას ფეხები პარალიზებული აქვს, მოძრაობა შეუძლია მხოლოდ ბორბლებიანი სავარძლით და შვილები არასოდეს ეყოლება. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან სხვა ხალხზე დამოკიდებულმა უნდა გაატაროს. მას არ შეუძლია მუშაობა და არ შეუძლია კარიერის ზრდა ან პროფესიული განვითარება. შენობას, სადაც ის ცხოვრობს არ აქვს ლიფტი და ყოველთვის, როდესაც გარეთ გასვლა სურს, მას ეს მნიშვნელოვან ძალის სტანდარტი უჯდება. რუსეთში საჯარო შენობების უმეტესობას არ გააჩნია სპეციალური შესაძლებლობები ბორბლებიანი სავარძლების მომხმარებელთათვის. შედეგად, მისი მოძრაობა და სოციალური კონტაქტი ძალიან შეზღუდული იყო. ყველა ეს ფაქტორი იწვევდა მის მუდმივ და სასტიკ ტანჯვას.

151. დაბოლოს, მის ტანჯვას აუარესებდა ხელისუფლების მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება და მათი უარი. მომხდართან დაკავშირებით საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარების თაობაზე. ის დახასიათებული იყო როგორც მერყევი ხასიათის აღამიანი, რომელმაც თვითმკვლელობის მცდელობის გამართლება სცადა პოლიციის ოფიცირების დადანაშაულებით. რის გამოც განმცხადებელმა თავი იგრძნო დამცირებულად, უიმედოდ და იმედგაცრუებულად.

152. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად განმცხადებელი მოითხოვდა 22 530 000 რუსულ რუბლს (დაახლოებით 654 000 ევრო ბოლო ოფიციალური კურსით).

ბ. მთავრობის პოზიცია სამართლიანი დაქმაყოფილების მოთხოვნაზე

153. განმცხადებლის მოთხოვნებზე ზიანის ანაზღაურების თაობაზე მთავრობამ აღნიშნა; რომ განმცხადებლის მიერ ინიცირებული სამოქალაქო საქმე ნიუნი ნოვგოროდის ლენინსკის რაიონულ სასამართლოში ჯერ კიდევ მოლოდინში იყო. საქმე შეჩერებული იყო განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე სისხლის სამართლის პროცესის შედეგის მოლოდინში. გამოძიების დასრულების ვადის ზედა ზღვრად გენერალური პროკურორის მოადგილემ განსაზღვრა 2005 წლის 2 აპრილი. ამდენად, მთავრობამ, დასკვნის სახით, განაცხადა, რომ ვინაიდან საქმის განხილვა არ დასრულებულა შიდა სახელმწიფო ორგანიზაციის დოჩებე, დასრულების შემდეგ განმცხადებელს შეუძლია მიიღოს კომპენსაცია ადგილობრივ სასამართლოებში. ამდენად, მისი მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებაზე მოუმწიფებელი იყო.

154. ასევე მთავრობამ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი რაოდენობა გადაჭარბებულად და არარეალურად მიიჩნია.

გ. სასამართლოს შეფასება

I. მატერიალური ზიანი

155. როგორც სასამართლომ დასაწყისში აღნიშნა, ის ფაქტი, რომ განმცხადებელი ისევ იღებდა მიუენებული მატერიალური ზიანის გამო შიდა სამართლებრივი პროცედურებით გათვალისწინებულ დახმარებას, არ ართმევდა მას უფლებას, მოეთხოვა კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია. სასამართლო განიხილავს ამ საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ხასიათის საქმე ადგილობრივ სასამართლოში მოლოდინშია; კონვენციის 41-ე მუხლის ნებისმიერი სხვა განმარტება ამ დებულებას არაეფექტურს გახდის (იხ. *mutatis mutandis*, დე ვილდი, ომბეი და კერსიპი ძელგის წინააღმდეგ (ყოფილი 50-ე მუხლი), 1972 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება, სერია A, №14, პუნქტი 14 *et seq.*).

156. სასამართლო შემდეგ იმეორებს, რომ უნდა არსებობდეს აშეარა მიზეზობრივი კავშირი განმცხადებლისათვის მიუენებულ ზიანსა და კონვენციის დარღვევას შორის და აღნიშნული, შესაბამისი ფორმით უნდა მოიცავდეს დაკარგული შემოსავლის კომპენსაციას (იხ. ბარბერა, მეხაგუე და ჯაბორო ესპანეთის წინააღმდეგ (ყოფილი 50-ე მუხლი), 1994 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, №285-გ პუნქტები 16-20).

157. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი აწამეს, რის შემდეგაც მან სცადა თავის მოკვლა. ამდენად ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო 1998 წლის 19 სექტემბრის ინციდენტით გამოწვეულ შედეგებზე. განმცხადებელი უზნაროა მუშაობის თვალსაზრისით და მნიშვნელოვანი თანხაა საჭირო მკურნალობის გაგრძელებისათვის. შესაბამისად, არსებობს მიზეზობრივი კავშირი დადგენილ დარღვევასა და განმცხადებლის შემოსავლების კლებას, ასევე მის მომავალ მკურნალობას შორის (იხ. საწინააღმდეგოდ, ბერკეტი თურქეთის წინააღმდეგ, №22493/93, პუნქტი 215, 2001 წლის 1 მარტი, სადაც სასამართლოს მიერ ვერ დადგინდა ვერანაირი მისეზობრივი კავშირი ცუდად მოპყრობასა და განმცხადებლის ფსიქოლოგიურ პრობლემებს შორის).

158. სასამართლო შემდგომში იმორებს, რომ სრული კომპენსაციისათვის (*restitucio in integrum*) საჭირო ჯამის სწორი დაანგარიშება, განმცხადებლისათვის მიუენებული მატერიალური დანაკარგების სახით, შეიძლება აცილებულ იქნეს დარღვევიდან გამომდინარე არსებითად განუსაზღვრელი მახასიათებლით (იხ. იანგი, ჯამესი და

გებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (ყოფილი 50-ე მუხლი), 1982 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა, № 55, პუნქტი 11). განსაზღვრა უნდა მოხდეს, დანაკარგების შეფასებაში ჩართული უმრავი უმნიშვნელო დეტალის მიუხედავად, რადგან რაც უფრო დიდია დროის სხვაობა, მით უფრო რთული განსასაზღვრია მისამისი კავშირი დარღვევასა და ზიანს შორის (იხ. ორგანიზაციური თურქეთის წინააღმდეგ, №25656/94, პუნქტი 426 *et seq.*, 2002 წლის 18 ივნისი). ასეთ საქმეებში გადასაჭრებლი საკითხი არის განმცხადებლისათვის აუცილებლად გადასაცემი ზიანის ანაზღაურების ხარისხი, როგორც წარსული, ასევე მომავალი მატერიალური ზიანიდან გამომდინარე, რაც უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ მისი დისკრეციის ფარგლებში და მხედველობაში უნდა მიიღოს მათი შესაბამისობა (იხ. საჩივე თიმში გაერთიანებული სამეცნიერო წინააღმდეგ (ყოფილი 50-ე მუხლი), 1989 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №38, გვ. 9, პუნქტი 15; ლასტინგ-პრინი და ბექუტი გაერთიანებული სამეცნიერო წინააღმდეგ (მუხლი 41), №31417/96 და №32377/96, პუნქტები 22-23, ადამიანის უფლებათა ეკონომიკური სასამართლო 2000).

159. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა მომავალი სამედიცინო დანახარჯების და შემოსავლის დაკარგვის თაობაზე უფლებოდა ექიმ. ლ. მაგნუტოვას ანგარიშს, რომელიც ადგენდა განმცხადებლის წლიური მკურნალობის დაახლოებით ლირებულებას, რუსეთში არსებულ ოფიციალურ მონაცემებს საშუალო ხელფასის თაობაზე და ვარაუდს, რომ მას უნდა გაეგრძელებინა მუშაობა 60 წლამდე და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა უნდა ყოფილიყო 65 წელი. მთავრობამ არ წარადგინა სამომავლო დანახარჯების ან შემოსავლის დაკარგვის აღტერნატიული გამოთვლა.

160. სასამართლო მსჯელობს, რომ რამდენიმე წინა საქმეში, სადაც მომავალი შემოსავლის საკითხი განიხილებოდა, სასამართლომ გამოთვლა დააფუძნა განმცხადებლის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ იმ საჭირო კაპიტალის გამოთვლებს, რაც ესაჭიროება გარკვეული დონის შემოსავალს (იხ. აქტასი თურქეთის წინააღმდეგ, №24351/94, პუნქტი 350, ადამიანის უფლებათა ეკონომიკური სასამართლო 2003-V და ორგანიზაციური თურქეთის წინააღმდეგ, ზემოთ აღნიშნული პუნქტი 433). იგივე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული მომავალი დანახარჯების გამოთვლისთვისაც. მოცემულ საქმეში, როგორც ჩანს, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხა გამოთვლილი იყო მარტივად, ყოველწლიური სამედიცინო დანახარჯების რუსეთში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე გადამრავლებით. მომავალში მისაღები შემოსავლის რაოდენობაც იმავე ფორმით იყო დაანგარიშებული.

161. ამდენად, თუნდაც დადგინდეს, რომ გამოთვლები და მონაცემები სწორად არის მოწოდებული განმცხადებლის მიერ, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოთვლის მეთოდი მოცემულ საქმეში არ არის შეთავსებადი სასამართლოს მიდგომასთან, მომავალში მისაღები შემოსავლების დაკარგვის გამოთვლების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, დაკარგული შემოსავლები არ მოიცავს ქმედუუნარობის გამო მიდებულ პენსიას. აქედან გამომდინარე, სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საბოლოო რაოდენობა.

162. თუმცა, მიიღო რა მხედველობაში განმცხადებლის მდგომარეობის შეუსაბამობა და ფაქტი, რომ მას უდაგოდ ექნებოდა სერიოზული მატერიალური დანაკარგები, როგორც სრული ქმედუუნარობის შედეგი და საჭიროებს მუდმივ სამედიცინო მკურნალობას, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მატერიალური ზიანის ასანაზღაურებელი გადასაცემი თანხის რაოდენობა განსაზღვროს მდგომარეობის საკუთარი შეფასების საფუძველზე (იხ. *mutatis mutandis*, აქსარი თურქეთის წინააღმდეგ, №25657/94, პუნქტი 442, ადამიანის უფლებების ეკონომიკური სასამართლო 2001-VII; „და სხვები გაერთიანებული

სამეცნის წინააღმდეგ [GC], №29392/95, პუნქტი 127, ადამიანის უფლებების ეგროპული სასამართლო 2001-V და ორპანი თურქეთის წინააღმდეგ, ზემოთ აღნიშნული პუნქტი 438). განმცხადებლის მდგომარეობის ხერიონულობის, სპეციალური და მუდმივი სამეცნინით მკურნალობის და მომავალში მუშაობის სრული ქმედულნარობის გაოვალისწინებით, სასამართლო გადასაცემ თანხას ადგენს 130 000 ევროს ოდენობით, რასაც უნდა დაემატოს ამ რაოდენობის დასაბუღრი თანხა.

2. არამატერიალური ზიანი

163. სასამართლო იმუორებს, რომ ინციდენტის დროს განმცხადებელი იყო ჯანმრთელი ახალგაზრდა, მუდმივად დასაქმებული ადამიანი. პოლიციაში ყოფნისას ის დაექვემდებარა წამებას, რამაც გამოიწვია სასტიკი მენტალური და ფიზიკური ტკივილი. შემთხვევის შემდეგ, მან ხერხემალზე გაიკეთა რამდენიმე ოპერაცია. მშემად მას დაკარგული აქვს მობილურობა, სექსუალური და საჯირკვლე ორგანოების ფუნქცია, არ შეუძლია მუშაობა და ბავშვების ყოლა. მან რეგულარულად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება და მისი მდგომარეობის გართულება ყოველთვის შესაძლებელია. სასამართლომ განსაკუთრებული სერიოზულობა მიანიჭა რა 1998 წლის 19 სექტემბრის მოვლენების შედეგს, არამატერიალური ზიანისათვის გადასაცემი თანხა განსაზღვრა 120 000 ევროს ოდენობით, რასაც უნდა დაემატოს ამ რაოდენობის დასაბუღრი თანხა.

დ. საურავი

164. სასამართლო მართებულად მიიჩნევს, რომ საურავი დაფუძნებული უნდა იყოს დაფუძნებული ევროპის ცენტრალური ბანკის სასესხო განაკვეთის ტოლი საურავი, რომელსაც დაემატება 3 პროცენტული პუნქტი.

ამ მიზნებისთვის სასამართლომ ერთხმად

1. უარყო მთავრობის პრეტენზია შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის თაობაზე და მიიღო განმცხადებლის, როგორც მითითებული დარღვევის მსხვერპლის სტატუსი;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, 1998 წლის 19 სექტემბერს განმცხადებლის ფანჯრიდან გადმოვარდნის ფაქტზე ეფექტური გამოძიების არარსებობის კუთხით;

3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პოლიციაში დაკავებისას მის მიმართ ცუდად მოპყობის გამო;

4. ადგენს, რომ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის საჭირო განმცხადებლის სხვა საჩივრების განხილვა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე;

5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი გასაჩივრებული ცუდად მოპყრობის თაობაზე ეფექტური საშუალებების არარსებობის გამო;

6. ადგენს, რომ არ არსებობს განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული 34-ე მუხლისა და 38-ე მუხლის 1-ლი (ა) პუნქტის ცალკე განხილვის აუცილებლობა;

7. ადგენს,

ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, გადაწყვეტილების საბოლოოდ გამოცხადებიდან სამი თვის გადაში კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს გადაცემის დღის კურსით ეროვნულ ვალუტაში კონვერტირებული შემდეგი რაოდენობა: 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 120 000 (ას ოცი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რასაც უნდა დაემატოს ამ რაოდენობის დასაბეგრი თანხა;

ბ) რომ ზემოთ აღნიშნული სამი თვის გასვლის შემდეგ გადახდამდე, საურავი უნდა გადახდეს ზემოაღნიშნული ოდენობით საურავის გადახდის დროისათვის ევროპის ცენტრალური ბანკის სასესხო განაკვეთის ტოლი საურავის კურსით, რომელსაც საურავის დროს დაემატება 3 პროცენტული პუნქტი;

8. უარყოფს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურების განსხვავებას.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით შეტყობინება მოხდა 2006 წლის 26 იანვარს, სასამართლოს წესების 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სორინ ნილსენი
მდივანი

ქრისტოს როზაპისი
პრეზიდენტი